საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.
ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 2014 წელი.
№195 (7576)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.

მიხეილ სააკაშვილის ფათერაკები სიგნალია კიევისთვის

③

სარეველა ბალახივით ამოყრილი უზნეობა

⑤

გუგული მაღრაძე: დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული არასამთავრობოები ნაციონალების იმიჯს იცავენ

⑥

მთელი მსოფლიო ჯაშუშ-დამსმენად იქცა!

④

„გასაღები“ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს არ უნდა გადასცე“

სოხუმს არ სურს, განიხილოს ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი

⑧

წარმატება კიბოს კვლევებში

⑦

კონტრ-ტერორისტული საწვრთნელი ცენტრი?

⑦

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მეუღლესთან ერთად, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ქართული ფილმების ფესტივალი გახსნა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა ქართული კინოს ტრადიციებზე ისაუბრა. პრემიერის განცხადებით, ფესტივალი ნათელი დადასტურებაა იმის, რომ ქართული კინო მიმზიდველია მთელი მსოფლიოსთვის.

„ჩვენ ძალიან ვამაყობთ ქართული კინოს ტრადიციებით. უკვე საუკუნეა, ძლიერ და უმშვენიერეს ფილმებს ვქმნით. კინო ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ქართული ფილმი ზედმიწევნით ასახავს ქართულ რეალობას. ის საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პარალელურად განვითარდა. ჩვენი მიზანია ქართული კინოს წარსული დიდების აღორძინება და ახალი მიმართულებების ძიება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას და ძალისხმევას არ დაიშურებს ქართული კინოსა და კულტურის პოპულარიზაციისთვის.

სიტყვით გამოსვლის დასასრულს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას ბოდიში მოუხადა, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიღებაზე მიემგზავრებოდა და კინოჩვენება დროზე ადრე დატოვა.

რეტროსპექტივა გაიხსნა MOMA-ში ნიკოლოზ შენგელაიას უხმო ფილმით - „ელისო„. ჩვენებას პრემიერ-მინისტრთან ერთად გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მყოფი საქართველოს დელეგაცია დაესწრო. ქართული კინოს ფესტივალის ფარგლებში 50-მდე ქართული ფილმის ჩვენება მოეწყობა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანს შეხვდა. შეხვედრა ნიუ-იორკში მდებარე თურქეთის ცენტრში დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა. სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები — ეს იყო ძირითადი თემები, რაზეც ორი ქვეყნის ლიდერებმა ისაუბრეს. საქართველოს პრემიერმა და თურქეთის პრეზიდენტმა მოილაპარაკეს, რომ დაჩქარდება ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერა. საუბარი იყო სამხრეთ კავკასიური მილსადენის უდიდეს მნიშვნელობაზეც.

თურქეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა სრული მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

„თურქეთი საქართველოს მხარში უდგას იმ გზაზე, რასაც ევროატლანტიკური მისწრაფება ჰქვია“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

◎ ალიარება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრია!

მიმდინარე წლის 17-19 სექტემბერს ქ. პრაღაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) ჩატარდა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების მე-8 გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ახალი წევრების: ინგლისის, პორტუგალიის, საქართველოს და სლოვაკეთის გაწევრების საკითხი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ამ ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან სიტყვით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, რომელმაც მოკლედ ილაპარაკა აკადემიის სტრუქტურასა და ძირითად მიმართულებებზე.

გენერალურმა ასამბლეამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვედეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი პროფ. კარენ ნიბლაუ, ერთხმად დაამტკიცა ახალი წევრების, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევა.

გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვათა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

გენერალური ასამბლეის შემდეგი მე-9 სხდომა გაიმართება 2016 წელს საფრანგეთში, მას უხელმძღვანელებს ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად არჩეულია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტად პროფ. ვილერ პოდრაჟსტი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად — საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ჟან-მარკ ბუსსარდი.

პრეზიდენტი. აკად.
გურამ ალექსიძე

◎ ნავთობსადენის დასაცავად

თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივ შტაბს ქმნიან

თბილისთან ახლოს მდებარე კრწანისის სასწავლო-საწრთვნელ ცენტრში თურქი, აზერბაიჯანელი და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით სამეთაურო-საშტაბო კომპიუტერული

წთრვნები მიმდინარეობს. „წთრვნების მიზანია მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიულ ურთიერთქმედებას მილსადენების დაცვაში“, — აცნობეს „კომერსანტს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და დაამზუსტეს, რომ საკითხი პირველ რიგში ეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეც გადის.

ნახჭევანში ამასწინანდელი შეხვედრის დროს საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებმა ნავთობსადენის უკეთესად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ერთობლივ ძალისხმევაზე მოილაპარაკეს, მათ შორის, ერთობლივი ბრიგადის შექმნის თაობაზეც. „კომპიუტერული სამეთაურო-საშტაბო წვრთნები გაერთიანებული შეიარაღებული ქვედანაყოფის შექმნისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯია“, — განმარტა სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა. მან არ გამორიცხა, რომ „აუცილებლობის შემთხვევაში ერთობლივი ბრიგადა მილსადენს უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე დაიცავს“. როგორც ექსპერტმა გაიხსენა, „ჯერ კიდევ 2001 წელს კრწანისში იგივე მიზნით ჩატარდა საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთისა და უკრაინის საარმიო ქვედანაყოფების სამხედრო წრთვნები“. მისი თქმით, თუ საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტს მართლაც სტრატეგიული მილსადენების დაცვისათვის გამოიყენებენ, ამაში გასაკვირი არაფერია — 2008 წლის ომის დროს ნავთობსადენი რუსეთის შეტევის ობიექტი გახდა... ასე რომ, მის დასაცავად ქართულ-აზერბაიჯანულ-თურქული ბრიგადის შექმნა სრულიად ლოგიკურია“.

„ХИ-ЭИЗ-ЭИН“

◎ რთველი — 2014

უხვი მოსავალი

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყურძნის წარმოება საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს წარმოება 54 პროცენტით იყო გაზრდილი. 2013 წელს გაზრდილი იყო ღვინის ექსპორტიც, სულ 46,7 მლნ ბოთლი შეადგინა და ეს ციფრი ორჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. წლეულს, ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა შეამცირა მოსავალი და მისი ხარისხი. შედეგად, დაფიქსირდა ყურძნის ფასის უპრეცედენტო მატება და ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. კერძოდ, შარშანდელთან შედარებით, საფერავის ფასი 50 პროცენტით გაიზარდა და ერთ კილოგრამზე 2,35 ლარს მიაღწია. არსებობს საშიშროება, რომ ყურძნის მაღალი ფასი საბოლოოდ წარმოებული პროდუქციის ფასს გაზრდის და ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას შეამცირებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2014 წლის 17 სექტემბრის მონაცემებით, ღვინის ქარხნების მიერ ინდუსტრიულად გადამუშავებულია 50 ათას ტონამდე ყურძენი. ამ ეტაპისთვის მევენახეების მიერ მიღებულმა შემოსავალმა უკვე 50 მლნ. ლარს გადააჭარბა. კახეთის რეგიონში ყურძნის მიღება-გადამუშავებას სულ 75 საწარმო ახორციელებს.

უკანასკნელი მონაცემებით, მიღებული ყურძნის ოდენობამ 73,980 ტონა შეადგინა, რაც 109 მლნ ლარის ეკვივალენტია. მიღებული ყურძნის 52 პროცენტი

რქაწითელია, 44 პროცენტი — საფერავი, 2 პროცენტი — კახური მწვანე. ნავარაუდევია, რომ, შარშანდელი 92 ათასი ტონის ნაცვლად, წელს ყურძნის მოსავალი 100 ათას ტონას გადააჭარბებს.

გვალვიანი ზაფხულისა და სეტყვების შემდეგ, დაზიანებულ ყურძენს, ისევე როგორც შარშან, სახელმწიფო საწარმოები სს „აკურა“ და შპს „გრუზვინპრომი“ ჩაიბარებენ. ჭარბი და დაბალხარისხიანი პროდუქციის მიღების გამო, აღნიშნული საწარმოები წამგებიანია და დიდწილად სახელმწიფო სუბსიდირებაზე არიან დამოკიდებული. დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, „გრუზვინპრომი“ ერთ კილოგრამ ყურძენს 40-დან 80 თეთრამდე იბარებს. 2013 წლის ინფორმაციით, სახელმწიფო საწარმოების მიერ შეძენილი ყურძენი საერთო რაოდენობის 16,8 პროცენტს შეადგენდა, რაც 2012 წლის 65 პროცენტთან შედარებით, მნიშვნელოვანი კლებაა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, იმავე წელს სახელმწიფო საწარმოებმა ყურძნის შესასყიდად გაცემული 15,86 მილიონი ლარიდან მეოთხედი სახელმწიფოსგან სუბსიდიის სახით მიიღეს. 2014 წლის 15 სექტემბრის მონაცემებით, ღვინის კომპანიების მიერ სულ შესყიდული 73 მილიონი ლარის ღირებულების ყურძნის დაახლოებით 25 % სახელმწიფო სუბსიდიაა.

ნინო ევგენიძე
რადიო „თავისუფლება“

◎ ალიანჩალიანი

პაატა ზაქარეიშვილი: წელს აჭარაში დასასვენებლად ე. წ. სამხრეთი ოსეთიდან ბევრი ადამიანი ჩავიდა

ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა პარლამენტში გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, სამხრეთი ოსეთიდან აჭარაში მოსახლეობის ჩასვლას ქართული მხარე მიესალმება, რადგან ეს ნდობის გაზრდას ნიშნავს.

როგორც ზაქარეიშვილმა განაცხადა, აფხაზეთიდან აჭარაში დასასვენებლად მოსახლეობა არ ჩასულა, რადგანაც აფხაზეთს ზღვა აქვს და შესაბამისად, აჭარაში ჩასვლა არ სჭირდებათ. თუმცა, მისივე თქმით, აფხაზებისადმი არის შეთავაზება განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით, რითაც სარგებლობენ.

ირაკლი ალასანია სომხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. როგორც „ინტერპრესნიუსს„“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სომეხ კოლეგას სეირან ოჰანიანს შეხვდება.

მინისტრები თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრებენ. მხარეები რეგიონული უსაფრთხოების საკითხებსაც განიხილავენ.

◎ ისტორია გვასწავლის...

მიხეილ სააკაშვილის ფათერაკები სიგნალია კიევისთვის

საქართველოს ექს-პრეზიდენტს კანონთან პრობლემები აქვს. იგი თავის გაჭირვებაში პოლიტიკურ ოპონენტებს ადანაშაულებს, მათ შორის, ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს. ახლახან სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის ქონებას ყადაღა დაადო. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს კიდევ მრავალი ბრალდება აქვს წაყენებული, მათ შორის, მიტინგების დარბევაში, ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის ქონების მიტაცებასა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში. გასულ წელს მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში წავიდა, სადაც იგი, საქართველოში გამოცხადებული ძებნის გამო, მართლმსაჯულებას ემალება, — იუწყება „რადიო ვესტი FM“.

„ვარდების რევოლუციის“ ბელადის თავსდამტყდარი არასასიამოვნო ამბების შესახებ მოუსმინეთ ჩვენს კორესპონდენტს ნიკოლაი ოსიპოვს:

„ანგარიშები, ბინები, მიწის ნაკვეთები... საქართველოს ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ნათესავების თითქმის ყველა პირადი ფინანსური მიღწევა გაანულა. საბედნიეროდ, ექს-პრეზიდენტს ნიუ-იორკში ბიძამისის ბინა აქვს, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს და, როგორც ჩანს, საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს — სამშობლოში ხომ მას, გაფლანგვების გამო, პატიმრობა ელოდება. „იგი მთელი ძალისხმევით ცდილობს პოლიტიკოსის სტატუსის შენარჩუნებას, რათა ჩვეულებრივ ბრალდებულად არ გადაიქცეს, — ამბობს დამოუკიდებელი პოლიტოლოგი სერგეი მიხეევი, — იგი ადგილს ეძებს, უკრაინაში დადის, განცხადებებს აკეთებს... მისთვის ახლა აუცილებელია აშშ-ის ყურადღება მიიპყროს, აჩვენოს, „მე თქვენი მეგობარი ვარ, ისინი კი რეპრესიებით მემუქრებიან... გამოიყენეთ ჩემი მდგომარეობაო“.

კაცმა რომ თქვას, „ვარდების რევოლუციის“ ლიდერის აღზევებიდან მისი პოსტამენტიდან გადმოგდებამდე მაინცდამაინც დიდი დრო არ გასულა. საერთოდ, საქართველოს პრეზიდენტის სახე ბოლო წლების განმავლობაში საკვირველი სისწრაფით იცვლებოდა: ადამიანი, რომელმაც პარლამენტში შეჭრის დროს ედუარდ შევარდნაძე ტრიბუნიდან გააგდო, მიტოვებული ტრიბუნა კი იმწუთშივე მიითვისა ჭიქა ჩაისთან ერთად; ადამიანი, რომელმაც კორუფციის გამო სახელმწიფო ავტოინსპექცია გააუქმა, ქვეყანაში კი კორუფცია მაინც ვერ მოსპო; ადამიანი, რომელიც ნერვიულად ღეჭავდა ჰალსტუხს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს, საკუთარ სამშობლოს გაერიდა... „დიახ, ნიუ-იორკში მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით, სანამ ვაშინგტონი გაქცეულ ექს-პრეზიდენტს იფარავს, — ამბობს პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის გენდირექტორი **ალექსეი მუხინი,** — იგი აშშ-ის ხელისუფლების სრულ კმაყოფაზე იმყოფება. სწორედ ვაშინგტონზეა დამოკიდებული, ჩააბარებს თუ არა თავის აგენტ მიხეილ სააკაშვილს, ან მართლმსაჯულებისგან დაიცავს და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს ყურადღებას არ მიაქცევს“.

ექს-პრეზიდენტის მიმართ წაყენებული ბრალდებები დამამცირებელიც კია ამ დონის პოლიტიკოსისთვის: ბიუჯეტის ფულები იახტებისთვის, მასაჟისტი ქალებისთვის, კოსმეტიკური მომსახურებისთვის, ტანსაცმლისთვის... თუმცა, არის უფრო სერიოზული: მიტინგების დარბევა, ტელეკომპანიაში უკანონოდ შეჭრა და მიტაცება...

თვითონ მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, ბრალდებები — ეს მისი პოლიტიკური მტრების (მათ შორის ყოფილი პრემიერ-მინისტრის), მონაგონია — „განა (ბიძინა ივანიშვილის), ბრწყინვალე სახლი ნაკლებ მდიდრულია?“. ასეთი თავის მართლებით აშკარაა, რომ ექს-პრეზიდენტი პოლიტიკოსის სტატუსის შენარჩუნებასა და პოლიტიკაში ტივტივს ცდილობს. „იგი დიდი ხანია, პოლიტიკოსი აღარ არის, — აგრძელებს ალექსეი მუხინი, — მისი ფეერიული კარიერის დასასრულის დასაწყისი მაშინ გამოიკვეთა, როცა მისმა მთავარმა მფარველმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა თეთრი სახლი დატოვა და პრეზიდენტად ბარაკ ობამა აირჩიეს. ობამას არაფრით არ გამოუხატავს მიხეილ სააკაშვილისადმი სიმპათიები. ნათელი გახდა, რომ საქართველოს აშშ-საგან ფინანსებისა და სამხედრო დახმარების მისაღებად დიდი იმედები არ უნდა ჰქონოდა“.

„მიხეილ სააკაშვილისათვის ერთადერთი იმედი ისაა, რომ შეიძლება იგი შეერთებულ შტატებს იმ ქვეყნის პრეზიდენტის დემოვერსიის სახით გამოადგეს, სადაც ვაშინგტონმა გადატრიალება მოაწყო. ეს ერთგვარი ნიშნია უკრაინელი ლიდერებისათვის: თუ რამე მოხდება, ბინა, კარგი რესტორნები და უნივერსიტეტებში ლექციები გარანტირებული გაქვთო“, — ამბობს სერგეი მიხეევი: „ამერიკელები ნათლად ახდენენ იმის დემონტრირებას, რომ კანონების გარდა, არსებობს პოლიტიკური მიზანშეწონილება, რომლის მიხედვით, ვაშინგტონი მიხეილ სააკაშვილს არ დათმობს. მისი დათმობა ვაშინგტონზე მომუშავე სხვა ლიდერებისათვის ცუდი მაგალითი იქნება, რადგან ისინი დაინახავენ, რომ ამერიკა სანდო აღარაა, ვაშინგტონს მათი ჩაბარებაც შეუძლია“.

რამდენად შესაძლებელია ექს-პრეზიდენტის ექსტრადიციის პერსპექტივა?

როგორც ალექსეი მუხინი ამბობს, „მიხეილ სააკაშვილი ნიუ-იორკში იმიტომ ცხოვრობს, რომ მისი ჩაბარება ჯერჯერობით მიზანშეწონილი არ არის — უკრაინაში, მოლდოვაში და თვით საქართველოში მცხოვრები აშშ-ის ზოგიერთი აგენტის დასანახად“.

სხვათა შორის, ფორმალურად, შეერთებულ შტატებს მიხეილ სააკაშვილის არგადასაცემად არავითარი მიზეზი არ უნდა ჰქონდეს: ვაშინტონმა ხომ უკვე ააშენა დემოკრატია საქართველოში, ესე იგი, ეს ნიშნავს, რომ ექს-პრეზიდენტს სამშობლოში სავსებით დემოკრატიული და სამართლიანი სასამართლო ელოდება.. თუმცა, აშკარაა, რომ სასამართლო დაუსწრებელი იქნება. ქონების დატოვება მას ნამდვილად მოუწევს, მაგრამ საზღვარგარეთ არსებულ აქტივებს როგორმე შეინარჩუნებს. კომპრომისიც შეიძლება, რომელიც ამჟამინდელ პრეზიდენტს ხელეწიფება: საქართველოს პარლამენტში უკვე სერიოზულად საუბრობენ იმაზე, რომ თუ ექს-პრეზიდენტს გაასამართლებენ, ახალი პრეზიდენტი მას შეიწყალებს, ანუ, ერთი მხრივ, ვაშინგტონს აღარ მოუწევს სააკაშვილის გადარჩენა, ხოლო, მეორე მხრივ, გაქცეული ქართველი ლიდერის გასამართლების მსურველთა მოთხოვნაც დაკმაყოფილებული იქნება.

ჯი-ეიბ-ენი

◎ კორუმპირებულ ნაცთა გალერეა

კაცი, რომელსაც ფულის თვლა არ უყვარს

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს თემურ ჯანაშიას ქონება და საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს. ჯანაშიას დაუყადაღეს საბანკო ანგარიშები, მათ შორის, ანგარიში, რომელზეც პენსიის თანხა ერიცხება. თემურ ჯანაშიას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების გაფლანგვაში ედება ბრალი. აღმკვეთის ღონისძიების სახით სასამართლომ მას გირაო შეუფარდა.

სახელმწიფო ბრალდების მტკიცებით, გამოძიებით დადგენილია, რომ თემურ ჯანაშიას საპენსიო ანგარიში გახსნილი აქვს „ლიბერთი ბანკში“, ხსენებულ ანგარიშზე პროკურატურას ყადაღის დადება არ მოუთხოვია და ბრალდებულ ჯანაშიას სრული უფლება აქვს განკარგოს მასზე არსებული საპენსიო თანხა.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობით სასამართლომ ყადაღა დაადო ჯანაშიას სხვა იმ საბანკო ანგარიშებს, სადაც განთავსებულია ამ უკანასკნელის პირადი თანხა, დაახლოებით, 270 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის არსებობაც ბრალდების მტკიცებით, ჯანაშიამ დამალა და არ ასახა საჯარო მოხელის ქონებრივ დეკლარაციაში.

თეიმურაზ ჯანაშია ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო საჯარო მოხელე და ამ პერიოდში მიღებული შემოსავლები აშკარა შეუსაბამობაში მოდის მის მიერ შეძენილ უძრავ ქონებასთან და პირად ანგარიშებზე განთავსებულ თანხებთან, რომელთა წარმომავლობა გამოძიების შესწავლის საგანს წარმოადგენს, ვინაიდან შეიცავს სსკ-ის 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) და 355-ე მუხლებით (საჯარო მოხელის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში განზრახ არასრული მონაცემის შეტანა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

თემურ ჯანაშიას ყადაღადადებული ქონება კი ასე გამოიყურება — თბილისში, წერეთელის გამზ. №10-ში მდებარე 112.58 კვ/მ კომერციული ფართი; ყვარელში მდებარე 2391 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ყვარელში მდებარე 1668 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; მცხეთის რაიონში, სოფელ კოტორაანთკარში მდებარე 1500 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ჯანაშიას ყოფილი მეუღლის ხათუნა ნუცუბიძის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება თბილისში: დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 800 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 2101 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №5-ში მდებარე 74.20 კვ/მ საცხოვრებელი ბინა და 25.10 კვ/მ ავტოსადგომი; თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-5 კვარტალში მდებარე 62.15 კვ/მ საცხოვრებელი ბინა; თბილისში, გაგარინის ქუჩაზე მდებარე 18 კვ/მ ავტოსადგომი; შვილის ნიკოლოზ ჯანაშიას საკუთრებაში არსებული ქონება ქ. ბათუმში, ნურეთინ ჩარმიქლის ქ.№5-ში მდებარე 53.69 კვ/მ მშენებარე საცხოვრებელი ბინა; შვილის სანდრო ჯანაშიას საკუთრებაში არსებული ქონება თბილისში, გაგარინის ქ. №1-ში მდებარე 104 კვ/მ საცხოვრებელი ბინა და თეიმურაზ ჯანაშიას სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული 270 000 აშშ დოლარი.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს თეიმურაზ ჯანაშიას ბრალად ედება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ორგანიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 392 827 ლარის გაფლანგვა, რითაც სახელმწიფოს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი.

სახელმწიფო ბრალდება განმარტავს, რომ ვინაიდან არსებობდა საკმარისი მონაცემები, რომ მოსალოდნელი ქონებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, ბრალდებული ჯანაშია გაასხვისებდა ან სხვაგვარად გადამალავდა მისი და მასთან დაკავშირებული პირების სახელზე რიცხულ ქონებას, ასევე გადამალავდა მის საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხას, რაც ხელს შეუშლიდა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ბრალდებულ თემურ ჯანაშიას ქონებას და საბანკო ანგარიშებს დაედო ყადაღა.

გამოძიების მტკიცებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე დღეში ჯანაშიამ ზემოთ მითითებული ორი უძრავი ქონება ჩუქების გზით გადააფორმა არასრულწლოვან შვილებზე და დააფიქსირა მეუღლესთან განქორწინების ფაქტი. აღნიშნული ქმედება ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ჯანაშიას მხრიდან ადგილი ჰქონდა ქონების გადამალვის მცდელობას. ეს ფაქტი სხვა არგუმენტებთან ერთად სასამართლომ გაიზიარა და საფუძვლად დაუდო ყადაღის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

დსს-ის ყოფილი ხელმძღვანელი თემურ ჯანაშია for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მას მხოლოდ ის ქონება გააჩნია, რაც დეკლარაციაშია მითითებული. რაც შეეხება ანგარიშს, რომელზეც სდსს-ის ყოფილ უფროსს დაახლოებით 270 ათასი დოლარი ერიცხება, ჯანაშია დაზუსტებით ვერ ამბობს, ერიცხება თუ არა მას რომელიმე ანგარიშზე აღნიშნული ოდენობის თანხა.

„აბსოლუტურად ყველაფერი დეკლარირებულია. ჩემს ანგარიშებზე წვდომა ამჟამად არ მაქვს, რადგან დაყადაღებულია. შესაძლოა, ეს თანხა მქონდა. დეკლარაციაში ჩაიხედეთ და თავად ნახეთ. პროკურატურას კი პასუხს ცალკე გავცემ. ყველა შემოსავალი არის აბსოლუტურად ლეგალური და ამაში სამარცხვინო არაფერია. რა თანხაც ჩემს ანგარიშზე არის, აბსოლუტურად ლეგალური შემოსავალია და ამის მტკიცებულებას წარვადგენ სასამართლოზე.

ეს არის ჩვეულებრივი შავი პიარი, ისევე როგორც გაფლანგვა, რაზეც ბრალი მაქვს წარდგენილი. ერთი რამ მაინტერესებს, რა შუაშია ჩემი შემოსავალი, როდესაც მედავებიან გაფლანგვას. პროკურორი მეუბნება, რომ ასე მავალებენო. მე, მაგალითად, ასეთ დავალებას ვიღებდი, რომ კანონი უნდა შემესრულებინა. შესაბამისად ვახორციელებდი ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას, ვასრულებდი კანონს.

ჩემი დავალება, რასაც ვასრულებდი, იყო კანონიერი, ხოლო დავალება, რომელსაც ესენი ასრულებენ, აბსოლუტურად უკანონოა. ყველა მტკიცებულებას წარვადგენ სასამართლოში. მაგრამ, ეს 270 ათასი დოლარი არაფერ შუაში არაა იმ ბრალთან, რაც წარდგენილი მაქვს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას თემურ ჯანაშია.

თამთა ძარჩავა

ფარული მოსმენების საკითხზე პარლამენტში სპეციალური კომისიაა შექმნილი. კომისია ე.წ. გასაღების თემის გადაწყვეტის მიზნით, სამ მოდელზე მუშაობს, კომისიის თავმჯდომარე, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი ვახტანგ ხმალაძე განმარტავს, რომ არის 3 შესაძლო მოდელი, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს: „ერთი მოდელია ის, რაც ჩვენთან დღემდეა და ასევე არის რამდენიმე ქვეყანაში, როდესაც თავად ის უწყება ახორციელებს ფარულ მოსმენებზე მიერთებას, რომელიც

გამოძიებას ატარებს. მეორე სქემა უფრო გავრცელებულია — ის გულისხმობს იმას, რომ თავად GSM ოპერატორები და ინტერნეტ-პროვაიდერები ახორციელებენ ჩართვას ამ მოსმენაზე, მესამე სქემის მიხედვით კი, რაც ასევე იშვიათად გამოყენებაა - ასეთ ჩართვას აკეთებს ცალკე სახელმწიფო ორგანო, რომელსაც არა აქვს არანირი გამოძიების, ანალიზის უფლება“.

რომელ მოდელს მიენიჭება უპირატესობა, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს „გასაღების“ GSM ოპერატორებისთვის გადაცემის მოდელს. რამდენად უსაფრთხო და სრულყოფილი შეიძლება აღმოჩნდეს ეს სისტემა, ამ თემაზე ექსპერტი **კახი კახიშვილი** გვესაუბრება.

მთელი მსოფლიო ჯაშუშ-დამსმენად იქცა!

„გასაღები“ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს არ უნდა გადასცე“

— ვერანაირად ვერ გავიზიარებ პოზიციას რომ ე.წ. გასაღები ჰქონდეთ მხოლოდ GSM ოპერატორებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიცით, როგორი წვდომა აქვთ უცხო ქვეყნებს შიდა ინფორმაციებთან მიმართებაში.

ისეთი ტიპის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, როდესაც არ გვაქვს მყარად ჩამოყალიბებული პროფესიონალური უშიშროების სამსახურები, გასაღების ჩაბარება ექსკლუზიურად მხოლოდ GSM ოპერატორებისთვის, წინდაუხედავი გადაწყვეტილებაა. მით უფრო, როდესაც საქართველოში მოქმედი ყველა GSM ოპერატორი წარმოადგენს უცხო სახელმწიფოებს, თანაც ისეთს, რომლებსაც დიდი ინტერესი გააჩნიათ საქართველოს მიმართ.

დღეს საქართველოში GSM ოპერატორებიდან წარმოდგენილი არიან „ჯეოსელი“ — თურქეთი, „მაგთი“ — ნაწილობრივ აშშ, „ბილაინი“ — რუსეთი. სამივე კომპანიას, რა თქმა უნდა, აქვს საკუთარი ინტერესი საქართველოში. მეტიც, **ვერავინ ვერ დამაჯერებს, რომ ეს კომპანიები მოქმედებენ მხოლოდ ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე**.

მსოფლიოში, სადაც ინფორმაციის მოპოვებაზე მიდის ბრძოლა, როგორ დავიჯერო, რომ GSM ოპერატორებთნ, რომლებიც საქართველოში არიან წარმოდგენილნი, არ ხდება რაღაც ტიპის თანამშრომლობა იმ ქვეყნების სპეცსამსახურებთან, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ?

ისეთ პატარა ქვეყანას, სადაც ბევრ ქვეყანას სტრატეგიული ინტერესი გაჩნია და სადაც არ არსებობს კვალიფიციური სპეცსამსახურები, განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება.

გერმანიაშიც კი, მათ კანცლერს უსმენდა რუსეთის და აშშ-ის სპეცსამსახურები, ასეთ ვითარებაში GSM ოპერატორებისთვის ამ ფუნქციის ჩაბარება ქვეყნისთვის საფრთხედ შეიძლება იქცეს.

წარმოიდგინეთ ექსკლუზიურად მხოლოდ GSM ოპერატორებს აქვთ მოსმენის უფლება, მათ კონტროლს კი ვერავინ ვერ ახორციელებს და ამ დროს, ქვეყნის უმაღლესი პირების საუბრების მოსმენის საშუალება ეძლევათ თავისუფლად. ამას შემდგომში გამოიყენებენ თუ არა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თეორიულად შანსი რომ ექნებათ და შესაბამისად — ცდუნება, ესეც ცხადია.

თუ ვინმე იტყვის, რომ სხვა ქვეყნების სპეცსამსხურები კანონს არ დააღღვევენ, მსოფლიოში კარგად არის ცნობილი მოსმენების სკანდალები - ევროსაბჭოს ჩინოვნიკებს უსმენენ! არ მაქვს ილუზია, რომ საქართველოსაც არ უსმენენ, მაგრამ კიდევ უფრო გამარტივება ამ საქმისა, ვფიქრობ, წინდაუხედაობაა.

— ვის შეიძლება ჰქონდეს მოსმენის უფლება ისე, რომ არც მოსახლეობის უფლებები დაირღვეს და არც ქვეყნის უსაფრთხოება?

— არც შს სამინისტროს არ უნდა ჰქონდეს ავტომატურ რეჟიმში მოსმენის საშუალება, მაგრამ შესაძლებელია შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, სადაც იქნება სამმაგი კონტროლი. ორი გასაღებიდან ერთ-ერთი შეიძლება ჰქონდეს შს სამინისტროსა და სპეცსამსახურებს, მეორე — GSM ოპერატორებს. ორი გასაღების ერთდროულად ამოქმედების გარეშე არც ერთ მათგანს არ მიეცემა მოსმენის საშუალება და მეტიც, უნდა შეიქმნას ნდობის ჯგუფი, რომელიც გააკონტროლებს ორივე მხარეს.

არის ისეთი პროგრამები, რომლითაც შესაძლებელია ტრაფიკის კონტროლი — თუ სასამართლომ გასცა 1000 ნებართვა მოსმენაზე, პროგრამას შეუძლია დააფიქსიროს, რომ რეალურად 1001 აბონენტი ისმინება, ანუ გადაცდომაა და ნდობის ჯგუფი ჩაერთვება ამ საკითხის განხილვაში. ვფიქრობ, ასეთ მოდელზე შეიძლება მუშაობა.

— ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით, რომ გასაღები GSM ოპერატორებს გადაეცეს. როგორ ფიქრობთ, მათ შეიძლება, არა აქვთ ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხეების არსებობის შესახებ?

— მესმის იმ არასამთავრობოების, რომლებიც აცხადებენ, რომ მხოლოდ შს სამინისტროს არ უნდა ჰქონდეს წვდომა და უნდა არსებობდეს გარანტია, რომ შს ყველას არ მოუსმენს. მაგრამ არ უნდა შექმნა მოდელი, რომლითაც ასეთ საშუალებას მისცემ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს.

ასე რომ, საჭიროა ისეთი სქემის შემუშავება, რომლის მაქსიმალურად გაკონტროლება იქნება შესაძლებელი და არავის არ ექნება მოსმენის განხორციელების ექსკლუზიური უფლება.

— ვინ შეიძლება შედიოდეს ნდობის ჯგუფში?

— პროფესიონალებთან ერთად შეიძლება იყვნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სასამართლო ხელისუფლების წარმომადენლები და ასეთმა ჯგუფმა განახორციელოს მონიტორინგი, დავუშვათ, პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექციის პატრონაჟის ქვეშ. ამას ვამბობ მაგალითისთვის, რადგან საკითხს სჭირდება სერიოზული შესწავლა და ნაჩქარევად ასეთი საკითხები არ წყდება.

გარდა ამისა, როდესაც ასეთ საკითხს აყენებ, კარგად უნდა იცნობდე სხვა ქვეყნების პრაქტიკას. ისეთ ქვეყანში, სადაც ორი წელია ვსაუბრობთ, რომ შესაძლოა, ნაცმოძრაობას ჰქონდეს პორტატული მოსასმენი აპარატურა, რითაც მას აქვს საშუალება უმაღლესი თანამდებობის პირებს მოუსმინოს და ეს აპარატურა ვერ მოიძებნა ამდენი ხნის განმავლობაში, ასეთ პირობებში მთელი „გასაღებების“ ჩაბარება შეუსწავლელი GSM ოპერატორებისთვის, სახიფათოა.

— როგორ ფიქრობთ, არ ხდება თუ ვერ ხდებაამ აპარატურის პოვნა?

— ვფიქრობ, რომ ვერ ხდება. ეს ურთულესია — როგორ ფიქრობთ, გერმანიის სპეცსამსხურებს არ ჰქონდათ სურვილი, რომ აღეკვეთათ მერკელისთვის უცხო ქვეყნებს მოესმინათ? — როგორც ჩანს, არსებობენ უფრო ძლიერი სპეცსამსახურები, რომლებიც ამას ახერხებენ.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ უკვე ორი წელია, ვერ ვიპოვეთ, ვინ გაიტანა ეს აპარატურა, ვერ მოხერხდა დადგენა, ვის ჰქონდა წვდომა ამ აპარატურაზე, ვის შეიძლებოდა გაეტანა და ახლა სად შეიძლება იყოს. ეს ვერ გაგვირკვევია და 21-ე საუკუნეში ინფორმაციაზე წვდომის გასაღების გადაცემა GSM ოპერატორებისთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ არის — საქართველოს მოქალაქეებს შს სამინისტროსგან დავიცავთ, მაგრამ ვერ დავიცავთ სხვა ქვეყნების სპეცსამსხურებისგან.

— თეორიულად, შეიძლება რომ სწორედ უცხო ქვეყნის მხარდაჭერით დაემალა ეს აპარატურა ნაცმოძრაობას?

— ბევრ ქვეყანას გააჩნია ინტერესები საქართველოში, მათ შორის იმ ქვეყნებსაც, რომელთა GSM ოპერატორებიც არიან ჩვენთან წარმოდგენილი. მთავარი ამოცანაა, რომ საქართველოს მოქალაქე იყოს დაცული უკანონო მოსმენისგან. როდესაც ამ ამოცანის შესრულება გინდა (და ეს თუ განხორციელდა, ძალიან კარგი იქნება), სანაცვლოდ არ უნდა დაუშვა, რომ იგივე საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევის საშუალება მისცე სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს.

— თუ გაქვთ ინფორმაცია სხვა ქვეყნებში როგორი მექანიზმები მოქმედებს?

— სხვადასხვაგვარი პრაქტიკაა — ევროპულ ქვეყნებს ვგულისხმობ. არის ქვეყნები, სადაც მოსმენებზე წვდომის უფლება ექსკლუზიურად სპეცსამსახურებს გააჩნიათ, არის ქვეყნები, სადაც GSMოპერატორებს გააჩნიათ მოსმენის ბერკეტი, მაგრამ როგორც წესი, GSM ოპერატორები არიან ადგილობრივები. მესამე მოდელი იშვიათია, რადგან ძვირი ჯდება, ეს არის ორმაგი კონტროლი.

დღეს, როდესაც აპელირებას ახდენ, რომ მხოლოდ GSM ოპერატორებს ჰქონდეს ეს უფლება, შს სამინისტროს მაინც რჩება შესაძლებლობა მოუსმინოს, ვისაც სურს, უბრალოდ, დიდი რაოდენობით პორტატულ მოსასმენ აპარატურას შემოიტანს. ამ ყველაფერს საკანონმდებლო ბაზის გამკაცრება და სისტემური მიდგომა სჭირდება. რაღაცის ერთმნიშვნელოვნად აკრძალვით სასურველ შედეგს ვერ მიიღებ.

ლალი ზირაქიშვილი

◎ კაკალ გულში

● **უკეთესი მესამე წლის მოსვლამდე 5 დღე (ერთი კვირა) დარჩა.**

„ერთი კვირა ფეხებით რომ ჩამოგვიდონ, კი უნდა გაუძლოთო“ უკვე თქვეს, თუ 9-საათიან „კურიერში“ გვეტყვიან?

● **გოგა ხაჩიძემ დაასახელა იმ პოლიციელების გვარები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ერისთავის დაკავებაში და ნარკოტიკების ჩადებაში.**

მაინტერესებს, აღიძრა თუ არა საქმე საქართველოს პარლამენტის წევრის ამ განცხადებაზე, დაიკითხა თუ არა ხაჩიძე წყაროს დასახელების და განცხადების ავთენტურობის დადგენის მიზნით და წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება თუ არა საქართველოს პარლამენტის წევრი ცილისწამებისთვის?

● **„ანა კარენინა“, ბოლოდან თუ წაიკითხე, კარგად მთავრდებაო, აკა მორჩილაძემ დაწერა სადღაც. ჰოდა, ნელ-ნელა რომ წავიდეთ უკან, სადღაც 1981 წლამდე მაინც,** NATO-ც ფეხებზე გვეკიდება, თასების მფლობელთა თასიც გვექნება და სხვა უამრავი სიკეთეც კიდევ... ასეა ეს!

წუხილოჯანი ოჯახები

● **გიხაროდენ: 1 ცალი პამპერსი გახდა 40 თეთრი (ღირდა 23.) აფთიაქებო — ვაი თქვენ პატრონს! ჯანდაცვის სამინისტროვ, თქვენსასაც!**

● **გაიღეთ სანდრანწყალება.**

● **თავპირისმტვრევით დავბრუნდი საქართველოში, სააკაშვილს 19 მილიარდი დაუყადაღესო!.. როდის უნდა დაარიგოთ? თუ დამაგვიანდა უკვე?**

(სტატუსი ანგარებიანია).

● **კაი, ეს მაჭავარიანი გასაგებია, მარა აი ის კაცმაცუნა გიგია წერეთელი, ხვალ უმრავლესობაში რომ ვნახო, არ გამიკვირდება. მე მგონი მარტო მაგან იცის წერეთელმა რა დაიბარა...**

● **დაუნ ვი დიქტეიტე შრი-ლანკურად როგორაა?**

● **პოლიტპატიმრები უმუშევრები არიან, ოჯახებს ძლივს ინახავენ, მათი დამჭერი პროკურორები წინაურდებიან და პრემიებს იღებენ! კოალიცია, შენ ცუდად ხომ არა ხარ?!**

● **მაგარ ძმას ვაჩვენე მეგისას ქორწილის ვიდეო და კინაღამ გაგიჟდა ტიპი: — სუფრაზე ნასვამი თემურ წიკლაურის სიმღერას თუ გავიგებდი, ეგრევე ბაბუაჩემის სკივრს ვეცემოდი, ჩემი პაპის პაპის ნაქონ ჯაჭვის პერანგს და ვითრევდი და მის ხალიბაურის ხმალს, „ცხენი, ცხენი მომიყვანეთ!“ ძახილით, გავრბოდი საომრად, ვისთან ზუსტად არ ვიცი, ძლივს მაჩერებდნენ მეზობლების დახმარებით! ფუჭ, ეგ ვინა ყოფილა, ტო!**

● **ეგ კესარიას ქორწილშიც იქნება ნამყოფი და არ ახსოვს!**

● **ბევრი ვიფიქრე, თუ რა შეიძლება იყოს მიზეზი, ანტიმონოპოლიური კანონის არ მიღების! ძალიან მინდოდა ოცნების გამართლება, მაგრამ არაფერით არ გამომდის. წილებში ჩაუჯდნენ? ბიძოს და ხელისუფლების ფანებო, მესროლეთ ხავსი, მოსაჭიდებლად!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

სარეველა ბალახივით ამოყრილი უზნეობა

ამ უზარმაზარ, უკიდეგანო სამყაროში, ერთი პატარა, ლამაზი პლანეტა მოგვიძღვნა უფალმა ადამიანებს... ჩვენ პლანეტით, ანუ მშვენიერი საცხოვრისით დავსაჩუქრდით და ერთდროულად პლანეტაც დასაჩუქრდა ადამიანებით, მაგრამ ამ საჩუქარს უფალმა დარიგებაც მოაყოლა, აბა თქვენ იცით როგორ შეეწყობით ერთმანეთს და გააძლებინებთო... მთავარია, არ დაკარგოთ სიყვარული, ერთმანეთის იმედი, ერთგულება, ზნეობა და შრომისმოყვარეობაო. პლანეტა პირნათლად ასრულებს ღმერთის დარიგებას, უშურველად, ლამაზად და სიყვარულით დაგვნათის დღისით მზე, ღამით — მთვარე. გარდა იმისა, რომ ორივენი, ზნეობრიობის მაგალითები არიან — სუფთა და კდემამოსილები, შარავანდედში ჩამჯდარნი და ამაღლებულნი, ამავე დროს, არიან შრომისმოყვარენი და დაუღლელნი. თავად პლანეტაა შრომისა და ერთგულების მაგალითი კაცობრიობისთვის, დღედაღამ თავდახრილი იღვწის, ბრუნავს და ბრუნავს განუწყვეტლივ, ერთი წუთითაც არ არის მისი მოსვენება, ერთგულად, ენერგიულად და ამავე დროს სიხარულით ემსახურება კაცობრიობას, განა არ ეტყობა როგორ გვინათებს და გვიღიმის დილით?.. ადამიანები კი... ადამიანებისა რა მოგახსენოთ, ჩვენ არავისთვის ფიცი არ მიგვიციაო და... დაერივნენ ერთმანეთს. ეჰ, მთელი პლანეტის კაცობრიობის ამბავი მართლაც, რომ საოცრებაა... ასობით წიგნშია აღწერილი და გაანალიზებული, მაგრამ ღმერთის არ შეისმინეს და კაცის დაწერილს და ნათქვამს რა გავლენა და ძალა ექნება.

არადა, იმედი,სიყვარული, ერთგულება, ზნეობა და შრომისმოყვარეობა — ეს ისეთი მახასიათებლებია, ერთი ადამიანი არ ვარგა და საზოგადოება რას ივარგებს ამ მახასიათებლების გარეშე. ზნეობა კაცობრიობის ყოფიერების ხერხემალია. თუ ადამიანის ორგანიზმი ხერხემალზეა აგებული, ადამიანის სულიერება ასხმულია ზნეობაზე. ზნეობას შეაქვს სიმტკიცე სახელმწიფოს მშენებლობაში, რომლის საფუძველი, თავის მხრივ, ზნეობრივი საზოგადოებაა. ჩვენ — ქართველები მოგვიანებით, მაგრამ იმ პრინციპით, რომ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ვაშენებთ სახელმწიფოს. მშენებელი ჩვენივე ხალხი უნდა იყოს, ასე ხდება ყველგან, თუ გინდა, რომ ეს სახელმწიფო შენი იყოს, იგი შენ უნდა ააშენო. თორემ სხვის მიერ აშენებულში, სახელმწიფოში კი არადა, სახლშიც კი არ და ვერ იქნები „შენ“. ვერ იქნები საკუთარი სულისა და გონის მატარებელი, ვერ იქნები შენი წინაპრების მემკვიდრე, ვერ იქნები შენი მიწის შვილი, დაკარგავ იმ ცნობიერებას, მეობას, რომლის გამოისობითაც ამბობ, რომ ქართველი ვარო (ინგლისელი ამბობს ინგლისელი ვარო და ასე შემდეგ...), ანუ შენი პროფილის, შენი სახის, შენი მეობის საძირკველი ზნეობაა, რომელიც მრავალი კომპონენტისაგან შედგება. პატიოსნება, კდემამოსილება, შრომისმოყვარეობა, ერთგულება შენი მიწის სიყვარული და კიდევ ბევრი რამ შედის ზნეობის შინაარსში. თითოეული კომპონენტი კი, თავის მხრივ, სხვადასხვა მოვალეობებს შეიცავს. ვიმეორებ: ჩვენ ახლა ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ, მაგრამ როგორ? განა შეიძლება რომ სახელმწიფო ზნეობამოკლებულმა საზოგადოებამ ააშენოს? თუ ეს ასე არ არის , მაშინ რატომ ხდება ის, რაც ხდება? რატომ გადაიქცა პოლიტიკა სანახაობად? რატომ შემოეცალა ღირსების შარავანდედი თითოეულ ჩვენგანს და, უპირველეს ყოვლისა, იმას (იმათ), ვინც მაგალითი უნდა იყოს საზოგადოებისათვის, თუ ქვეყნის მთავრობა არ არის ზნეობრივი, მაშინ რა უნდა მოსთხოვო საზოგადოებას, და პირიქით, თუ საზოგადოება არ არის ზნეობრივი, საიდან შეირჩევიან ადამიანები, რომლებმაც ქვეყანა და ხალხი უნდა მართონ? ამ საკითხებზე უამრავ მოაზროვნეს უფიქრია და შეუქმნია საუკეთესო ნიმუში . საუკეთესო მხატვრული ტილო, რათა, ვინძლო ადამიანებს უკეთ დაგვენახა ის მანკიერებანი, რომლებიც კაცობრიობის ცხოვრების თანმდევი და თითქმის ჩვეულებრივი მეგზური გახდა და ვერ გაგვიგია, თუ როგორ გვიფერხებს ჰარმონიულ ცხოვრებას როგორც ბუნებასთან, ისე ერთმანეთთან.

მაგონდება იტალიელი კინორეჟისორის, დიდი მოაზროვნისა და ხელოვანის — დამიანო დამიანის ერთი კინოსურათი „ჯიროლიმონი — რომის მონსტრი.“ რაოდენ დიდი, სულიერი ტკივილი უნდა მიეღო და გადაეტანა შემოქმედს, რომ მსგავსი, ადამიანის უკულმართულ ფსიქოლოგიაში ჩაწნეხილი ქცევების ბინძური ფაქტებით დასაბუთებული სურათი შეექმნა, თუმცა, გრძნობს რა ხელოვანი დიდ პასუხისმგებლობას ადამიანის სულიერ განწყობაზე, ცდილობს, მცირეოდენი იუმორითაც შეაფერადოს თავისი ნამუშევარი და არ ჩააქროს და ჩანაცროს იმედი... მაგრამ სურათი მაინც სასტიკია, რადგანაც სასტიკია რეალობა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი დიდი ხელოვანი.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ნახეთ, სად წამიყვანა ჩვენმა დღევანდელობამ

და როგორ გამახსენა დამიანო დამიანისა და ბევრი სხვა ხელოვანის მხატვრული ტილოები, სადაც სწორედ ჩვენი ყოფის ანალოგიურ მოვლენებზეა საუბარი. უსირცხვილო პოლიტიკოსებმა ახლა კვლავ წამოწიეს 10 თვის უმწიკვლო ანგელოზი ბავშვის (ნათელში ამყოფოს უფალმა!) ბარბარეს უბედური შემთხვევა და ამით ტრავმა და გულისტკივილი კვლავ განუახლეს მის მშობლებსა და საზოგადოების იმ დიდ ნაწილს, რომელსაც თავის დროზე თავზარი დასცა ამ ამბავმა. ვიღაცებს კი ტრაგედიის ორი წლის შემდეგ კვლავ დასჭირვებიათ ამ თემით ვაჭრობა და ქულების მოპოვება... **რა ჰქვია ამ საქციელს? ვფიქრობ, რომ — უზნეობა!**

უზნეობის სურათებს არ გვაკლებენ ჩვენი პარლამენტარები და თქვენ წარმოიდგინეთ, სახელმწიფო მართვის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებიც. ყოფილი პრეზიდენტი, მაშინდელი კონსტიტუციის მიხედვით ქვეყნის პირველი პირი და უშუალო მმართველი, ცხრა წლის განმავლობაში სათავგადასავლო ისტორიებით სავსებით „უზრუნველყოფდა“ საქართველოს მოსახლეობას, ხან გვაცინებდა, ხან გვატირებდა. ჭორის მოყვარულებსა და ყვითელ-წითელ მედიასაც გამოულევად ჰქონდათ მასალები. სიმართლე და უსამართლობა ერთნაირად იყო შეფასებული. კერძო საკუთრება, თავდაპირველი კომუნისტებისაგან განსხვავებით, ძალზედ გამარტივებულად, რამდენიმე საათის განმავლობაში გადადიოდა სახელმწიფოს ხელში და დამნაშავედ შერაცხილი უდანაშაულო ადამიანი კი, რადგანაც საკუთარი სახლი უკვე აღარ გააჩნდა, „ნებით“ მიდიოდა ციხეში. ასე ივსებოდა მტყუან-მართალი ადამიანებით საპატიმროები.

აი, ხომ ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, გამოთქმა „მაშინდელი კონსტიტუციაც“ კი ვიხმარე, დიახ, ნებისმიერი პოლიტიკური ფორმაციის ეს ხელშეუხები საგანძური იცვლებოდა პრეზიდენტის სურვილისა და მოსაზრებების მიხედვით... როგორ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნებოდა ასეთ მმართველთა მაგალითების შემყურე საზოგადოება? რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ღირსეული. სახელმწიფო იგივე ოჯახს შეგვიძლია შევადაროთ: მამა თუ ზნედაცემულია, ოჯახის წევრების ცხოვრებაც ვერ იქნება ჯანსაღი. სამწუხაროდ, თავის სამშობლოში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი (ყოფილი პრეზიდენტი), როგორც გვაცოდებს თავს „რუსთავი 2-ის“ ტელეარხიდან, ამერიკაში ცხოვრობს საუკეთესო სახლში, რომელიც მისი საკუთრებაა, დადის საუკეთესო რესტორნებში, ატარებს ძვირად ღირებულ ლექციებს, ხვდება ამერიკის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს თუ სამართალდამცველებს და ასე შემდეგ.

უზნეო მმართველთა ხელში საზოგადოების, მოსახლეობის, რიგითი ადამიანების ზნეობაზე საუბარი ნამდვილად უხერხულია. უსამართლობა, ანუ იგივე უზნეობა სუფევდა საქართველოში და ჯერჯერობით სუფევს კვლავაც. ადამიანები ღალატობენ, ატყუებენ, ჩხუბობენ, ცემენ და ხოცავენ კიდეც ერთმანეთს, თავად იწესებენ „სამართალს“...

მეგონა, რომ ორი წლის წინათ ისტორიას ჩავაბარეთ წარსული უზნეობანი, მაგრამ, საუბედუროდ, სკამები ინარჩუნებენ მაგნიტურ ველს, საიდანაც ძნელია ძალაუფლების გავლენისაგან, სიმდიდრისაკენ მისწრაფებისაგან თავის დაღწევა, წინა ხელისუფლების აურა კვლავ ტრიალებს პოლიტიკურ სივრცეში. პარლამენტი სავსეა იმ ადამიანებით, რომლებიც ქვეყნისათვის სასარგებლო წინადადებებს კი არ აწვდიან ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციური პარტიის საფარველქვეშ, დაგეგმილად და მიზანდასახულად იბრძვიან უკან დასაბრუნებლად, ძალაუფლების კვლავაც მოსაპოვებლად. ზოგიერთ საკითხებში ფრთხილი და არცთუ ისე გამჭრიახი მთავრობა ამის საშუალებას აძლევს მათ. უშვებს შეცდომებს, საქვეყნოდ გამოაქვს „უხუცესთა საბჭოში“ თუ მსგავს ინსტანციებში გასარჩევი საკითხები, სანახაობებით ართობს შინაურ და გარეშე მტერს და გულს უკლავს საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, რომელიც, მადლობა ღმერთს, რომ არის ქვეყანაში. პრეზიდენტისა და პრემიერის მოვალეობები, მათი სამოქმედო არეალი და სხვა ასეთი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საკითხები არ უნდა იყოს ხალხის გასარჩევი. პირიქით, მთავრობისგან მოელის ხალხი დაკვალიანება-დასაქმებას, საარსებო პურის მოსაპოვებლად ხელის შეწყობას, ზრუნვას და ამაგს. ჯერჯერობით, არ ჩანს ეს გამოკვეთილად, ის კი კარგად ჩანს, როგორ იწყობენ საკუთარ ცხოვრებას, როგორ ირიგებენ დიდ ჯამაგირებს და კიდევ უფრო დიდ პრემიებს. არცთუ ისეთი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო პრეზიდენტის ავად ხსენებაც ვერ აღიქვა ხალხმა დადებითად, ხალხისაგან არჩეული, მაგრამ ბატონი ივანიშვილის დიდი მცდელობითა და ამაგით მოსული პრეზიდენტის მისგანვე დაგმობა არ იყო საზოგადოებისათვის მიცემული კარგი მაგალითი.

ქვეყანაში, ხალხში, ზემოთ თუ ქვემოთ, ზნეობა მართლაც საგრძნობლად შეილახა, მოქალაქეების მიერ ერთმანეთის შეურაცხყოფა არა მარტო ქუჩებში, პარლამენტშიც კი, არ მეტყველებს წესრიგსა და ზნეობრიობაზე, გახშირდა ერთმანეთის ფიზიკური განადგურებაც. სამართალდამცავები ვერ უთავდებიან გამოძიებებს, ამის დასტურია კიწმარიშვილის მკვლელობის საქმე. ყოფილ პრეზიდენტზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრა და მისი ქონების დაყადაღება გასაგები გახდა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, მაგრამ სავსებით გაუგებარია სხვა ნათესავების ქონების დაყადაღება. რა ქნას და რა ირწმუნოს ხალხმა, რომელსაც დემოკრატიის სახელით წაღმა-უკუღმა ატარებენ, მაგრამ იქ მაინც ვერ მიიყვანეს, სადაც ადამიანურად იგრძნობს თავს და ღირსებასთან ერთად თავისი ოჯახის სარჩენ ლუკმაპურის ფულს საკუთარი საქმით და შრომით მოიპოვებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვერ ვიტყვით, რომ უცნაურ დროში ვცხოვრობთ, ჩვენს ისტორიას თუ გადავხედავთ, საცნაურია ეს ყოველივე, უბრალოდ, ადამიანის ბუნებაში, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულის გამო, შემგუებლობასთან ერთად თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების დიდი კოდია ჩაქსოვილი. ეს უკანასკნელი, დროისა და ნიადაგის შესაბამისად წიაღისეული მადანივით ამოიფრქვევა და წალეკავს ადამიანის არსებობის დამაბრკოლებელ ყოველივე უზნეობას, მაგრამ რა ვქნათ, რომ უზნეობა სარეველა ბალახივით დროდადრო მაინც ამოიყრის?

გულნარა სტურუა

◎ ალიანჩალიანი

აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით სკოლის მოსწავლეებისთვის კონკურსი გამოცხადდა

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა - საქართველომ“ საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის ინოვაციის კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის პრეზენტაცია კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში გაიმართა. პროექტი აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, ასევე განათლების სამინისტროსა და აშშ-ის კონრადის ფონდთან თანამშრომლობით განხორციელდება.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 12-18 წლის საშუალო სკოლის მოსწავლეებისგან შემდგარი სამი საუკეთესო ჯგუფი გამოვლინდება, რომლებიც პროექტებს ინოვაციებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში წარმოადგენენ. პირველ ადგილზე გასული ჯგუფი გაემგზავრება კონრადის ფონდის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სამიტზე (Annual Innovation Summis), რომელიც 2015 წლის აპრილში, აშშ-ში გაიმართება.

„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ემსახურება ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც გაზრდის მათ მიღწევებს აღნიშნულ დისციპლინებში. პროექტის ერთ-ერთი მიზანია კონკურსში გამარჯვებულების დაკავშირება წარმატებულ საერთაშორისო მეცნიერებთან თუ ორგანიზაციებთან, რაც დაეხმარება მათთან სამომავლო პარტნიორობის დამყარებასა და ცოდნის გამყარებაში“, — აცხადებენ ფონდში.

ინტერპრესი

გუგული მაღრაძე: დემოკრატიის ლოზუნგს ამოფარებული არასამთავრობოები ნაციონალების იმიჯს იცავენ

ᲔᲜᲓᲝᲡ თუ არა საზოგადოება მესამე სექტორს, არის თუ არა ობიექტური ის კომენტარები, რომელთაც საინფორმაციო საშუალებები საზოგადოებას აწვდიან, როგორც ერთმნიშვნელოვან, უტყუარ დასკვნას, რადგან მას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აკეთებენ; მუდმივად ერთი და იგივე სახეები რატომ ჩანან ტელეეთერში და ვის წისქვილზე უშვებენ ისინი წყალს, სად ტრიალებს ნაციონალების ფული და რისთვის გამოიყენებენ მას? — ამ კითხვებზე პასუხი აქვს პარლამენტის წევრ გუგული მაღრაძეს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

— ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ რამდენი არასამთავრობო ორგანიზაციაა, ამის გაგება ადვილად შეიძლება, ცნობათა ბიუროშიც კი, თუმცა, ის არასამთავრობოები, რომლებიც უშუალოდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან, საჯარო რეესტრში აღირიცხებიან. ეს ორგანიზაციები რას აკეთებენ, როგორ, ვისი ფულით ფინანსდებიან — ასეთი ინფორმაციები მხოლოდ მათ ვებ-გვერდზე თუ მოიპოვება. სხვა რაიმე ორგანიზაცია ან ცნობარი, სადაც მათ შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ერთად იქნება თავმოყრილი, არ არსებობს.

— მაგრამ საინფორმაციო საშუალებები საზოგადოებას აწვდიან სულ რამდენიმე ენ-ჯე-ოს წარმომადგენლის აზრს, მაგალითად, კოჟორიძის, გიგაურის, ლომჯარიას, ხოშტარიას და სხვებისა, როგორც ობიექტურ დასკვნას, არასადავოს...

— გეთანხმებით. არიან ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დიდი ხანია, მოღვაწეობენ, სოლიდური დაფინანსება აქვთ, აღიარებენ საერთაშორისო ორგანიზაციები... ამის მიხედვით ზოგიერთები უფრო აქტიურად ჩანან, ზოგიერთები — ნაკლებად. მაგრამ საზოგადოების გადასაწყვეტია — ვის ენდობა და ვის არა... თქვენ მიერ დასახელებული ადამიანები არიან იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც წერენ „ჩრდილოვან ანგარიშებს“ სხვადასხვა საკითხებზე, უცხოელი დამფინანსებლები მათ ენდობიან, რადგან ესენი უფრო კარგად და სრულყოფილად აკეთებენ რიგ პროექტებს და დაფინანსებაც ამაზეა დამოკიდებული...

— ეს რაც შეეხება ტექნიკურ საკითხებს, მაგრამ მე ვგულისხმობ მათ იდეოლოგიას, პოლიტიკური განცხადებების არსსა და სანდოობას. თქვენი აზრით, არიან თუ არა ისეთი ობიექტურები, რომ შეიძლება საზოგადოება თვალდახუჭული ენდოს მათ?

— არიან ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კარგად ვიცით, რომ წინა ხელისუფლების მიერ არიან ხელდასხმულნი. მათ ჯერ კიდევ იმ დროს უწოდებდნენ „სახელმწიფო ენ-ჯე-ოებს“.

საერთოდ, ჩვენთან ძალიან არასწორად არის გაგებული მესამე სექტორის როლი. ჰგონიათ, რომ მათი მთავარი დანიშნულება არის ხელისუფლების კრიტიკა, მაგრამ ეს მცდარი დამოკიდებულებაა. არასამთავრობოები არსებობენ იმისთვის, რომ მიეხმარონ ხელისუფლებასა და ხალხს იმ პრობლემების გადაწყვეტაში, სადაც სახელმწიფოს უჭირს ამის გაკეთება, სადაც მთავრობის ძალისხმევა არ არის ეფექტიანი. იმიტომ, რომ ენ-ჯე-ოები ამ მიმართულებით უფრო მობილურები არიან... უფრო ნაკლები დრო სჭირდებათ და ა. შ.

საქმე ისაა, რომ მესამე სექტორს პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას ვერავინ დაუშლის, ეს მათი უფლებაა, მაგრამ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, რომ საზოგადოების მხრიდან არ ჰქონდეს ისეთი გამოძახილი, რაც აქვს ხოლმე. არასამთავრობო აკეთებს განცხადებას, გინდა დაუჯერე, გინდა არა. მაგალითად, პირადად მე რომ განვსაზღვრავდე სახელმწიფო პოლიტიკას, მათ კომენტარებს საერთოდ არ მივაქცევდი ყურადღებას. იმიტომ, რომ კარგად ჩანს, ვინ დგას მათ უკან.

სხვათაშორის, ამას ძალიან კარგად იყენებენ ნაციონალური მოძრობის წევრები. მათ აქვთ კარგი გამოცდილება, რადგან ენ-ჯე-ოებს წლების განმავლობაში თავიანთ საქმეს აკეთებინებდნენ. კარგად გვახსოვს, ამასწინათ სარფში შეხვედრაზე როგორ მოუწოდებდა მიხეილ სააკაშვილი თანაგუნდელებს, უნდა შეიქმნას სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც საპროტესტო განწყობას გამოხატავენ, გააქტიურდნენ და გამართონ აქციები, მიტინგები, მანიფესტაციებიო. ეს იყო პირდაპირი დავალება... მათ ბევრი თანხა მოეპოვებათ საამისოდ. ასევე, ასე ვთქვათ, ხელისუფლების მომხრე არასამთავრობოებში კვალიფიციური ადამიანები არიან, წინა ხელისუფლების ბევრი მაღალი თანამდებობის პირი გადავიდა სამუშაოდ იქ, მათ გამოცდილება აქვთ. იციან პროექტების წერა, აქვთ საერთაშორისო კონტაქტები, მსოფლიოში ცნობილები არიან, გრანტგამცემი ორგანიზაციებიდან იღებენ დაფინანსებას... ამ დროს იჩაგრებიან ის ენ-ჯე-ოები, რომელთაც მართლაც გულით უნდათ საქმის კეთება... ამავე დროს დაბლდება სამოქალაქო აქტივობაც.

— როგორც ვიცი, თქვენ მოამზადეთ ქველმოქმედებისა და ფილანტროპიის კანონპროექტი ამის დასაბალანსებლად...

— დიახ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი ნიუანსი მთავრობასთან შესათანხმებელია და საჭიროა, ამ მიმართულებით მუშაობა. თუმცა, ამ კანონს არ მოვეშვები და ისევ შევიტანთ პარლამენტში განსახილველად.

ბევრ ნიუანსთან ერთად, ჩვენ გვქონდა ჩადებული ასეთი მუხლი, რომ წლის ბოლოს ადამიანს ჰქონოდა უფლება, გადაერიცხა საშემოსავლოს 20 პროცენტიდან 1 პროცენტი საქველმოქმედო და ფილანტროპული ორგანიზაციისთვის, რომლის შექმნაც მოვითხოვეთ: აღმოჩნდა, რომ 80 მილიონ ლარამდე თანხა აკლდება ბიუჯეტს, რაზეც ფინანსთა სამინისტრო არ დაგვთანხმდა... მოკლედ, ამ საკითხებზე ბევრი საფიქრალია, რათა არც მთავრობა დაზარალდეს და არც საზოგადოება.

— თქვენ საუბრობთ იმაზე, რაც გინდათ, რომ იყოს მომავალში, მაგრამ რეალობას როგორ შეაფასებთ. დღეს როგორ მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციები?

— რა ხდება დღეს? ამჟამად, ძალიან ცოტა არიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლებას ამოუდგებიან გვერდში. რატომღაც პოპულარულები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებით ბევრს აკრიტიკებენ მმართველ გუნდს.

— ვთქვათ, საია-ს წარმომადგენელი კახა კოჟორიძე ამბობს, რომ სააკაშვილსა და მის ნათესავებს ქონება უკანონოდ დაუყადაღესო. საზოგადოებას ეს აზრი მიეწოდება, როგორც ჭეშმარიტება, ხელისუფლებას ამაზე რეაქცია არ უნდა ჰქონდეს?

— რადგანაც, საია არის იურიდიული ორგანიზაცია, მას აქვს ასეთი განცხადების უფლება. წესდებაში უწერიათ, რომ შეუძლიათ, გააკეთონ სამართლებრივი შეფასება. ხელისუფლებამ ყველაფერზე რეაგირება არ უნდა მოახდინოს. მედიის ენერგია და მით უმეტეს, მმართველი ძალისა, ამ მიმართულებით არ უნდა დაიხარჯოს. დააყადაღონ თუ არა ექს-პრეზიდენტის ქონება, ეს სამართალდამცავების გადასაწყვეტია.

— გასაგებია, მაგრამ თქვენ თვითონვე ამბობთ, რომ ასე მარტივად არაფერს „გაატარებენ“ ნაციონალები, პირიქით, ისინი ყოველთვის ჩაეჭიდებიან ხოლმე ამა თუ იმ თემას და კარგადაც აპიარებენ სათავისოდ.

— მართალია. ნაციონალებისთვის ეს არის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფლაგმანი, ეყრდნობიან იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მათი მხარდამჭერები არიან, წლების განმავლობაში ნაციონალების ხელშეწყობით ფინანსდებოდნენ და მეტიც, ბევრი ნაციონალი გადასულია ამ ორგანიზაციებში სამოღვაწეოდ. ჩვენი ბრალიც არის, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ საზოგადოება, ვინ არიან ეს ორგანიზაციები, რომლებიც დემოკრატიის ლოზუნგით მოსულები, გამწარებით იცავენ ნაციონალურ მოძრაობას. სამწუხაროდ, ჩვენთან არსებობენ ისეთი არასამთავრობოები, რომლებიც პირდაპირ პოლიტიკური ნიშნით არიან შექმნილნი. ჩვენს ხელისუფლებას არ განუზრახავს ამის საპირწონედ სხვა ორგანიზაციის შექმნა. ეს შეიძლება ერთის მხრივ, ცუდიც კი არის, რადგან პიარზე არ ვმუშაობთ...

პოპულარული არასამთავრობოები კი, როგორც ხედავთ, ცდილობენ როგორღაც დაიცვან, გაამართლონ ნაციონალური მოძრაობის ქმედებები, ისინი იდეოლოგიურად მოწოდებულნი არიან, უარყოფითი იმიჯი შეუქმნან ხელისუფლებას; არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას.

ამასთან, ძალიან ვთხოვ საზოგადოებას, მეტი ყურადღება მიაქციონ მესამე სექტორის წარმომადგენელთა განცხადებებს, გაითვალისწინონ, ვინ დგას მათ უკან და ვის ემსახურებიან. მაგალითად, სულ ახალი ინფორმაცია მაქვს: გავიგე, რომ ალბანეთში სათამაშო ბიზნესში არის ჩადებული ნაციონალური მოძრაობის ფული, რომელიც ყოველთვიურად გარკვეულ მოგებას ტოვებს. ეს რაც გავიგეთ, მაგრამ რაც არ ვიცით?! იმდენი არალეგალური ფული კეთდებოდა ნაციონალური მოძრაობის დროს, რომ იმ თანხას მუთაქებში არავინ ჩადებდა. ის გაბნეულია ბიზნესში და ფული ბრუნავს (ამდენი ჭკუა და გონება კი ჰქონდათ). ამ ფულს, კარგად ვიცით, როგორ და რისთვის გამოიყენებენ...

— და ამის ფონზე ამბობთ, ხელისუფლებას რეაქცია არ უნდა ჰქონდესო?

— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს? თუ ობიექტურია შენიშვნა, უნდა გაითვალისწინოს, მაგრამ თუკი წმინდა პროპაგანდისტულია შენიშვნა, ისეთი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე უშვებს წყალს, გარკვეულად ინდეფერენტული უნდა იყოს. იგნორირება გაუკეთოს იმას, რაც ქვეყნის სასარგებლოდ არ მუშაობს.

— აი, ნაციონალური მოძრაობა კი ძალიან კარგად მუშაობს და იყენებს ყველანაირ რესურსს ხელისუფლების იმიჯის საზიანოდ.

— რა ვქნათ, ნაციონალები ამას რომ არ აკეთებდნენ, ხალხს აღარ ემახსოვრებოდა მათი არსებობა. ამიტომ ზედაპირზე სწორედ ამის გამო ტივტივებენ. ისინი სიმშვიდით და გაწონასწორებულობით ხელისუფლებაში ვერასოდეს ვერ მოვლენ. ეს მათ ძალიან კარგად იციან.

— უნდა იყოს თუ არა ოპოზიცია ასეთი დესტრუქციული და საზიანო?

— ოპოზიცია თითქმის ყველა ჩვენნაირ ქვეყანაში დესტრუქციულ როლს ასრულებს ჩვენდა სამწუხაროდ. როცა მივეჩვევით იმ აზრს, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, ხოლო ოპოზიცია კონსტრუქციული იყოს, აი, მაშინ ვიქნებით ნორმალური, განვითარებული ქვეყანა.

— გმადლობთ.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ყოველთვიურად 10 ათასლარიანი მოსაკრებელი დაუწესდა

„ᲗᲑᲘᲚᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ“ კომპანია „სითი პარკს“ დასუფთავების მოსაკრებლის სახით დაგროვილ 145 ათას ლარს, ხოლო მიმდინარე ყოველთვიურ გადასახადს 10 ათას ლარს უწესებს.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, შპს „სითი პარკს“ თბილისის მერიის მიერ მართვის უფლებით გადაცემული აქვს დედაქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული 416.912 კვმ ტერიტორია, რაზეც ავტოსადგომების დასუფთავების მოსაკრებელი ერთ კვ.მეტრზე 0,025 ლარი თვეში უნდა დაერიცხოს.

„მიუხედავად იმისა, რომ კომპანია დედაქალაქში 2007 წლიდან მოქმედებს, მას დასუფთავების მოსაკრებელი შვიდი წლის განმავლობაში არ გადაუხდია. შედეგად, შპს „სითი პარკი“ თბილისის ბიუჯეტს წლების განმავლობაში კუთვნილ შემოსავალს აკლებდა, რითაც დედაქალაქის ბიუჯეტმა დაახლოებით 900 000 ლარი იზარალა“, — აცხადებენ თბილისის მერიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიამ შპს „სითი პარკს“ თბილისის ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით ყოველთვიურად 10.000 ლარზე მეტი გადასახადის ვალდებულება დაუდგინა. წინა წლებში გადაუხდელი მოსაკრებლის გადახდა კი 2013 წლის 1 ივნისიდან დაიკისრა და შესაბამისად, ეს თანხა 145 ათას ლარს შეადგენს.

ამასთან, მერიაში განმარტავენ, რომ 2007 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში საკანონმდებლო ბაზა რამდენჯერმე შეიცვალა. ავტოსადგომების ფართზე დარიცხვა თბილისის საკრებულოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით მოხდება, რომელიც ძალაში 2013 წლის 1 ივნისიდან შევიდა. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, „თბილსერვისს ჯგუფში“ მერიის ახალი მენეჯმენტი შევიდა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი კომპანია დასუფთავების მოსაკრებელს საერთოდ არ იხდიდა, ზოგიერთი კი, შემცირებული მოცულობით.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ კონტრტერორისტული საწვრთნელი ცენტრი?

ოფიციალურად არ დასტურდება!

საქართველოს ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე Foreign Policy-ში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, საქართველომ ამერიკას სირიელი ამბოხებულების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა შესთავაზა, არ ადასტურებს. გეგეშიძე ვარაუდობს, რომ გამოცემის ჟურნალისტმა მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორად გაიგო.

„თუ დადგა ეს საკითხი, ისევე, როგორც სხვა საკითხები, საქართველოს ხელისუფლება ამას მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდება, განიხილავს მის დადებით და უარყოფით მხარეებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე. ეს პასუხი არანაირად არ ნიშნავს რაიმეზე დასტურს. სამწუხაროა, რომ ჟურნალისტმა, ციტატის სახით მოიყვანა ჩემი აზრი, რომელიც მე არ გამომიხატავს“, — განაცხადა არჩილ გეგეშიძემ.

ამერიკულმა გამოცემა „Foreign Policy“-ის ინფორმაციით, საქართველომ აშშ-ს სირიელი ამბოხებულების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა შესთავაზა. სტატიის მიხედვით, თანხმობის შემთხვევაში, შეთავაზება, შესაძლოა, დაემატოს თეთრი სახლის არსებულ გეგმას, ხუთიათასი სირიელი მეამბოხის გაწვრთნის შესახებ მომავალ წელს, საუდის არაბეთში იმ ექსტრემისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ახლა ერაყისა და სირიის დიდ ნაწილს აკონტროლებენ.

„საწვრთნელი ცენტრის გახსნა ჩვენ შევთავაზეთ, თუმცა, ეს საკითხი კვლავ განიხილება“, — ციტირებს გამოცემა აშშ-ში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის კომენტარს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, **გაურკვეველი რჩება საქართველოში გასამართი საწვრთნელი პროგრამის პოტენციური მასშტაბი, თუმცა, ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, არჩილ გეგეშიძემ მას განუცხადა, რომ, შესაძლოა, ამ პროგრამის ფარგლებში საქართველომ უმასპინძლოს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლებს სხვადასხვა ქვეყნებიდან და არა — მხოლოდ სირიიდან. „ეს იქნება კონტრტერორისტული საწვრთნელი ცენტრი ნებისმიერი ეროვნებისთვის“,** — ციტირებს გამოცემა არჩილ გეგეშიძის სიტყვებს.

სტატიის თანახმად, სექტემბრის დასაწყისში, თბილისში ვიზიტით მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჩაკ ჰეიგელმა შეთავაზება ქართველი მაღალჩინოსნებისგან მიიღო. **„ჩაკ ჰეიგელის ვიზიტისას საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას და რომელიც არ არის „მთავარი კოალიციის“ წევრი, სადაც დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, კანადა, ავსტრალია, იტალია, პოლონეთი და დანია შედიან“,** — ნათქვამია სტატიაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ პენტაგონი არ აკეთებს კომენტარს, მიიღო თუ არა ამერიკულმა მხარემ ქართული მხარის წინადადება, ან როდის იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

Foreign Policy-ს სტატიის პასუხად საგანგებო განცხადება გაავრცელა თავდაცვის სამინისტრომ. ირაკლი ალასანიას უწყებაში აცხადებენ, რომ საქართველო, როგორც აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი და ნატოსთან ყველაზე თავსებადი ქვეყანა, განიხილავს, თუ რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას (ISIS) ტერორიზმის წინააღმდეგ კოალიციის მიზნების მიღწევაში.

საქართველოში სირიელი მეამბოხეების გაწვრთნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭო.

ხელისუფლების ოფიციალური განცხადების მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ამბობს, რომ მიესალმება ქართული მხარის მიერ შეერთებული შტატებისთვის იმის შეთავაზებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სირიელი სამხედროები გაიწვრთნას.

საქართველოს ატლანტიკური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის დავით სიხარულიძის განცხადებით, კონკრეტული დეტალების გარკვევამდე რთულია გაანალიზება, რა რისკების შემცველი შეიძლება იყოს სირიელი მეამბოხეების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა. მისი თქმით, ტერორიზმი ემუქრება საქართველოსაც, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებს და ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობა სწორედ მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნითაა განპირობებული.

თამთა გაგუნია

◎ მედიცინა

წარმატება კიბოს კვლევებში

იმის მიუხედავად, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე ავთვისებიან სიმსივნესთან ბრძოლის უამრავი ახალი მეთოდი შეიმუშავეს, კიბო ერთ-ერთ ყველაზე მომაკვდინებელ დაავადებად რჩება. თანამედროვე მედიცინას მოეპოვება არა მარტო დაავადების პრევენციული საშუალებები, არამედ ხშირ შემთხვევაში მკურნალობის წარმატებული მეთოდებიც, რომლებიც აფერხებს პირველადი სიმსივნური უჯრედების ზრდას.

თუმცა, კიბოთი გარდაცვლილთა შორის ბევრია ისეთი, ვინც მკურნალობის გართულებებით, ან მეტასტაზებით კვდება. როცა პირველადი სიმსივნური უჯრედები იცვლება და ორგანიზმის სხვა ნაწილებში გადადის, მათ მეტასტაზებს უწოდებენ. მეტასტაზები ჩნდება მაშინ, როცა პირველადი სიმსივნური უჯრედი ტოვებს კერას, სისხლის, ან ლიმფის საშუალებით ორგანიზმში მოძრაობს და კოლონიზირებისთვის ახალ ქსოვილს ირჩევს.

ბელგიელი მკვლევრები აცხადებენ, რომ კიბოს დამარცხების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და ზოგიერთი სახის კიბოს მეტასტაზების გავრცელების პროცესის შეჩერება შეძლეს. ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა თაგვებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში მოახერხეს ძუძუსა და მელანომის სიმსივნური უჯრედების მეტასტაზების შეჩერება.

„როცა სულ რამდენიმე მეტასტაზია, მკურნალობა გამართლებულია და დაავადების მართვა შესაძლებელი ხდება. მაგრამ როცა მთელ ორგანიზმში უამრავი მეტასტაზი ვრცელდება, მაშინ პაციენტს მხოლოდ მდგომარეობას უმსუბუქებენ. სამწუხაროა ამის თქმა, მაგრამ ასეა. ვფიქრობთ, მივაგენით მკურნალობის ისეთ მეთოდს, რომელიც მეტასტაზების პრევენციას შეძლებს. ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ იმედს აძლევს ავადმყოფებს, რომლებსაც მეტასტაზების გავრცელების საფრთხე ემუქრებათ“, — ამბობს პროფესორი პიერ სონვო, რომელიც ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში ამ კვლევას ხელმძღვანელობს.

კიბოს სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მეტასტაზების გავრცელება რთული პროცესია და მისი დეტალების შესახებ ჯერჯერობით ბევრი რამ ცნობილი არ არის.



„მაგალითად, უჯრედებმა ფორმა უნდა შეიცვალონ, რომ მეტასტაზად გადაიქცნენ. ჩვენ კი პასუხი არ გვაქვს ელემენტარულ კითხვაზე: როგორ შეუძლიათ მათ ფორმის შეცვლა და მეტასტაზებად ჩამოყალიბება?“ — აღნიშნავს ქრის ბეკალი, ლონდონში მდებარე კიბოს კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ბელგიელმა მეცნიერებმა იმ მექანიზმს მიაგნეს, რომლის საშუალებითაც უჯრედებს ცვლილების კონტროლი შეუძლიათ. საუბარია ცვლილებებზე, რომელთაც ნაწილობრივ თავისუფალი რადიკალები იწვევენ. იმ თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც სიმსივნური უჯრედების მეტასტაზურ პროცესს უწყობენ ხელს, სუპეროქსიდს უწოდებენ. ძუძუს კიბოთი და მელანომით დაავადებულ თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ანტიოქსიდანტების ზემოქმედებით შეჩერდა სუპეროქსიდების წარმოქმნა. საბოლოო ჯამში კი ამ პროცესმა შეაფერხა პირველადი სიმსივნური უჯრედის მეტასტაზად გადაქცევა.

„ზოგიერთ მოდელში ასპროცენტიანი შედეგი გვქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტასტაზების გავრცელების პრევენცია ასი პროცენტით შევძელით. როცა მეცნიერი ხარ და ამგვარ შედეგს იღებ, შეიძლება გული წაგივიდეს, იმდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტი“, — ამბობს პროფესორი სონვო.

ბელგიელ მკვლევართა მიღწევას, რომელიც ჟურნალ „სელ რეპორტსში“ გამოქვეყნდა, სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ქრის ბეკალი ამბობს, რომ ადამიანებში თავისუფალი რადიკალების დაბლოკვის შემთხვევაში კვლევამ, შესაძლოა, საფუძველი ჩაუყაროს კიბოს მეტასტაზების შეჩერებისა და, ზოგადად, კიბოს მკურნალობის წარმატებულ მეთოდოლოგიას.

„კვლევის მიხედვით, თუ ყურადღებას გავამახვილებთ თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის პროცესზე და შევაჩერებთ მათ გამრავლებას, ამან, შესაძლოა, გზა გაუხსნას თერაპიის ახალ მეთოდოლოგიას. მეტასტაზურ უჯრედებში თავისუფალი რადიკალების შემცირების გზით, სავარაუდოდ, შევძლებთ თავად მეტასტაზების გავრცელების პრევენციას“, — ამბობს დიდი ბრიტანეთის კიბოს კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ბელგიელი მეცნიერები ამბობენ, რომ ამ ეტაპზე მათ იმის გარკვევა სურთ, გაჭრის თუ არა იგივე მეთოდოლოგია სხვა ტიპის კიბოზე. მათი მიზანია, იგივე ექსპერიმენტი ჩაატარონ რამდენიმე სხვა ავთვისებიან სიმსივნეზე და ნახონ, რამდენად შეიძლება მეტასტაზების შეჩერება ნაწლავის, ფილტვისა თუ პროსტატის კიბოს შემთხვევებში. ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ შემდეგი ნაბიჯი საჭირო პრეპარატების შექმნა და ბოლოს მათი კლინიკური ცდების მეშვეობით პაციენტებზე გამოცდა იქნება.

რადიო „თავისუფლება“

◎ ალიანჩალიანი

მიუსაფართა თავშესაფრის ასაშენებლად ტენდერი გამოცხადდება

დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ გასულ კვირას საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა ნარმანიას მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც თბილისში მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობას ითვალისწინებს. დედაქალაქის მერმა მოუწოდა კომპანიებს, მონაწილეობა მიიღონ ელექტრონულ ტენდერში და განაცხადები საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად წარადგინონ.

ნარმანიას თქმით, მიუსაფართა საკითხზე მუნიციპალიტეტი იზრუნებს, კერძოდ, მერიაში, შეიქმნება კომისია, რომელში მონაწილეობა ნარმანიამ ცენტრალური უწყებების წარმომადგენლებსაც შესთავაზა. დედაქალაქის მერმა დასძინა, რომ მიუსაფართა საკითხს რეგიონული განვითარების სააგენტოში შექმნილი კომისია კურირებდა.

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში, მცხეთა - მთიანეთსა და სამცხე - ჯავახეთში, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება.

„პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი არქიტექტურის გათვალისწინებით, დაგეგმილია ურბანული აღდგენა, რაც ცენტრალურ უბნებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების რეაბილიტაციას, საზოგადოებრივი სივრცეებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენობების კონსერვაციასა და გაუმჯობესებას, შენობებისა და ფასადების კონსერვაციას მოიცავს. ასევე დაგეგმილია ტურისტული მარშრუტების განვითარება, რომელიც ურბანული ლანდშაფტის და საზოგადოებრივი ავტოსადგომების განვითარებას, საინფორმაციო ჯიხურების, კაფეების და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობას ითვალსიწინებს. ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურის მოწყობა კერძო სექტორის დაინტერესების მიზნით. კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს ინვესტიცია ჩადონ მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მასშტაბით ტურიზმისა და კვების მრეწველობის ობიექტების აშენების მიზნით, ფონდი ბიზნესის წარმომადგენლებს იდეების განხორციელებაში დახმარებას გაუწევს“, — განმარტავენ ფონდში.

ლატვიური კულტურის გაცნობის შესაძლებლობა გვექნება

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საელჩოდან აცნობეს, 24-26 სექტემბერს საქართველოში ლატვიის კულტურის მინისტრის დაცე მელბარდეს ვიზიტის ფარგლებში თბილისში შესაძლებელი იქნება „ლატვიური კულტურის მრავალფეროვნების შეგრძნება“.

მათივე ინფორმაციით, კულტურული პროგრამა მოიცავს ღონისძიებებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროებიდან. პროგრამის მთავარ იდეასა და დანიშნულებას წარმოდგენს საქართველოს მოსახლეობისთვის ლატვიის კულტურის გაცნობა და ლატვიის დედაქალაქის — რიგის, როგორც 2014 წლის ევროპის კულტურული დედაქალაქის, წარდგენა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სოხუმს არ სურს, განიხილოს ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი

6-7 ოქტომბერს ჟენევაში გაიმართება კავკასიაში უშიროებისა და სტაბილურობის შესახებ მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. შეგახსენებთ, რომ ამ მოლაპარაკებებში, რომლებიც დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ 2008 წლის აგვისტოში, მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დელეგაციები, აგრეთვე გაეროს, ევროკავშირის, ეუთოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლიდან მხარეებს შორის უკვე გაიმართა 28 შეხვედრა, არსებითი შედეგები ამ მოლაპარაკებებს ჯერ არ მოჰყოლია.

ამავე დროს თბილისი დაჟინებით მოითხოვს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა იქნეს განხილული სწორედ ამ ფორმატით, საერთაშორისო წარმომადგენელთა მონაწილეობით. მთლიანად, ჟენევის დისკუსიების ყველა მხარე დეკლარირებულად უჭერენ მხარს საქართველოს წინადადებას, თუმცა, სოხუმი და ცხინვალი მოითხოვენ ამ მოლაპარაკებათა ფორმატების შეცვლას. კერძოდ, აფხაზეთის დელეგაცია მოითხოვს დღის წესრიგიდან იქნეს ამოღებული ქართველ დევნილთა თავიანთ სახლებში დაბრუნების საკითხი, რასაც დაჟინებით მოითხოვს ქართული მხარე, და რაც გათვალისწინებულია 2008 წლის „შეთანხმებაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

ეს მოთხოვნები 18 სექტემბერს კვლავ გაიმეორა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ვიაჩესლავ ჩიკირბამ. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზის გამო ჩაიშალა ჟენევის მოლაპარაკების წინა რაუნდი მას შემდეგ, რაც სოხუმისა და ცხინვალის დელეგაციებმა დატოვეს დარბაზი, სადაც განხილვა მიმდინარებოდა. მათ მოთხოვნას ლტოლვილთა შესახებ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის შესახებ ასევე მხარი დაუჭირა მაშინ რუსეთის წარმომადგენელმა.

„აფხაზეთის მხარე მოლაპარაკების ჩაშლის წინააღმდეგია. მაგრამ არის პრინციპული საკითხი, რისგანაც ჩვენ უკან დახევა არ შეგვიძლია“, — განაცხადა 18 სექტემბერს ჩიკირბამ.

შეგახსენებთ, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად, აფხაზეთში ცხოვრობდა ქართველების 48 პროცენტი და აფხაზების 17 პროცენტი. დღეს, აფხაზეთის ოფიციალური მონაცემების თანახმად, იმ ქართველების რაოდენობა, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ შემცირდა 19,26 პროცენტამდე, ეთნიკური აფხაზების წილი კი 50-71 პროცენტამდე გაიზარდა.

სხვა საფავო საკითხები

სოხუმი ასევე მოითხოვს თბილისისგან **აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, „მისი ზარალის კომპენსაციას“, აგრეთვე ხელმოწერას შეთანხმებაზე ძალის გამოუყენებლობის შესახებ.**

თბილისი აცხადებს, რომ მიუღებელია სოხუმის მცდელობა, ჩაიშალოს დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებული იყო ჯერ კიდევ 2008 წლის შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის, საქართველოს და საფრანგეთის პრეზიდენტებმა, ეს უკანასკნელი მაშინ ევროკავშირს წარმოადგენდა.

„საქართველოს მხარემ აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფები უნდა ფუნქციონირებდეს დაუბრკოლებლივ და უნდა განიხილებოდეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ძალის გამოუყენებლობა, უშიშროების საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნება“, — განაცხადა 15 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა.

თბილისი ასევე უარს აცხადებს, იურიდიულად გაფორმდეს ზეპირი დაპირება, რომ არ იქნეს გამოყენებული ძალა თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, აცხადებს, რომ გამოყოფილი რეგიონები „არ არის კონფლიქტის დამოუკიდებელი მხარეები“, და დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ასეთი შეთანხმების ხელმოწერა — აუცილებლობის შემთხვევაში — შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან. მოსკოვი ამავე დროს აცხადებს, რომ არ აღიარებს თავს კონფლიქტის მხარედ და უარს აცხადებს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

ამავე დროს სოხუმი და ცხინვალი აცხადებენ იმის შესახებ, რომ ისინი „შეშფოთებული არიან“ საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავებით.

„საქართველოს დაახლოება ნატოსთან არ შეიძლება ჩვენ არ გვაღელვებდეს, ვინაიდან 2008 წელს საქართველომ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენა სწორედ დასავლეთის იარაღი. ჩვენთვის საქართველოსთვის ნებისმიერი მხარდაჭერა სამხედრო თვალსაზრისით — შემაშფოთებელი ფაქტორია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მუშაობა ჟენევის დისკუსიების ფარგლებში ხდება სულ უფრო მნიშვნელოვანი, და ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმის გარანტიას, რომ არც ერთი მხარე არ გამოიყენებს იარაღს“, — განუცხადა ადრე ჟურნალისტებს სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოსტკონფლიქტური მოწესრიგების საკითხში მურატ ჯიოევმა.

საქართველოს ხელისუფლება, როგორც ამჟამინდელი, ისე წინა, აცხადებს, რომ არ აპირებს ძალის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და, რომ განზრახული აქვს, გადაწყვიტოს ეს პრობლემა მშვიდობიანი გზით. კერძოდ, მისი სიტყვებით, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურაში საქართველოს ინტეგრაციის შედეგად საქართველო გახდება აყვავებული და მდიდარი ქვეყანა, რაც, თავის მხრივ, გახდის მას მიმზიდველს სეპარტისტული რეგიონების მცხოვრებლებისათვის.

„საქართველოს მთავრობა სთავაზობს ჩვენს მოქალაქეებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არა მხოლოდ თანამშრომლობას... არამედ ყველა სიკეთესაც, რასაც გულისხმობს ევროინტეგრაციის პროცესი... საქართველოს სახელმწიფოში, რომელიც ემყარება ევროპულ ღირებულებებს, ისინი არასოდეს აღმოჩნდებიან საფრთხის ქვეშ, და ექნებათ სრული გარანტია საკუთარი ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ ერთად, სახელმწიფოში, რომელიც დამყარებულია საერთო ინტერესებზე, ვიზრუნებთ მომავლისათვის, და რომ ამ მომავალთან ჩვენ მიგვიყვანს მხოლოდ მშვიდობიანი გზა და შერიგება“, — განაცხადა აგვისტოში საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

„ცალმხრივი ნაბიჯები“

როგორც „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურს საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის სამინისტროში აცნობეს, ამ მომენტისათვის საქართველოში მოქმედებს გამოყოფილი რეგიონების მოსახლეობასთან დაახლოებისა და ნდობის აღდგენის რამდენიმე პროგრამა. ეს პროგრამები ხორციელდება სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს „ცალმხრივ ნაბიჯებს“ თბილისის მხრიდან „აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ჩართვის უზრუნველყოფის შესახებ თანამშრომლობის გზით“.

მაგალითად, აფხაზეთისა და ცინვალის რეგიონის ყველა მცხოვრებს აქვს შესაძლებლობა, უფასოდ გამოიყენოს სამედიცინო დახმარება ნებისმიერ საავადმყოფოში საქართველოს ტერიტორიაზე. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2013 წლის განმავლობაში ეს პროგრამა გამოიყენა 837 კაცმა, როგორც სამინისტროში გვითხრეს, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მკურნალობის უფრო მეტად ხელმისაწვდომობა აფხაზეთის მოსახლეობისთვის, ოკუპირებულ ხაზთან უახლოეს ქალაქ ზუგდიდში შენდება მასშტაბური სამედიცინო ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იქნება უმაღლესი სტანდარტის თანამედროვე მოწყობილობით.

უფრო მეტიც, საქართველო მთლიანად უზრუნველყოფს როგორც აფხაზეთს, ისე ცხინვალის რეგიონს ვაქცინებით იმუნიზაციისთვის, პრეპარატებით ტუბერკულოზისა და დიაბეტის წინააღმდეგ. თუმცა, ეს ხდება არა პირდაპირ, — სეპარატისტული ხელისუფლება საქართველოს ამ დახმარებას ღებულობს საკოორდინაციო ცენტრის მეშვეობით, რომელიც გაეროს პროგრამის ფარგლებში მოქმედებს.

საქართველოში ასევე მოქმედებს განათლების პროგრამა, რომლის თანახმადაც გამოყოფილი რეგიონებიდან ჩამოსულებს შეუძლიათ მიიღონ უფასო განათლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, ამავე დროს ისინი ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში გამარტივებული გზით — ერთადერთი გამოცდის შედეგის მიხედვით, რომელიც ხდება აბიტურიენტისთვის მშობლიურ ენაზე (აფხაზურ ან ოსურ ენაზე).

2011 წლიდან საქართველო უშვებს სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებისათვის. დოკუმენტზე არაა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა, იგი არაა მოქალაქეობის მოწმობა. დოკუმენტი ადასტურებს მისი მფლობელის პიროვნებას და ნებას აძლევს კანონირების საფუძველზე გადაკვეთონ საზღვარი. მას ამ მომენტისათვის მსოფლიოს 12 სახელმწიფო აღიარებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიც.

რუსეთი და სეპარატისტული ხელისუფლებანი არაერთგზის გამოდიოდნენ სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტების მკაცრი კრიტიკით, აცხადებდნენ, რომ თბილისი „დაჟინებით ცდილობს, თავს მოახვიოს“ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებს „საქართველოს პიროვნების მოწმობები, როსლებსაც მოტყუებით გადასცემენ რაღაც ნეიტრალური დოკუმენტები სახით“. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ბოლოსათვის, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველომ სულ 264 ასეთი დოკუმენტი გასცა.

როგორც სამინისტროში გვაცნობეს, საქართველოს ხელისუფლების, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს დახმარებით რეგულარულად ეწყობა მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრები და ერთობლივი სასწავლო ვიზიტები ნეიტრალურ ტერიტორიაზე, უმთავრესად ევროპაში. მაგალითად, 2013 წელს ავსტრიასა და იტალიაში გაიმართა აფხაზი და ქართველი მასწავლებლების, ხელოვნების წარმომადგენლების, სამოქალაქო სექტორის შეხვედრები.

ამავე დროს, საქართველოს სამინისტროში აღნიშნეს, რომ თბილისი ცდილობს, არ მოახდინოს ამ პროგრამების და მათი მონაწილეების სახელების აფიშირება, ვინაიდან ხელისუფლებანი სოხუმსა და ცხინვალში „ჯერ კიდევ“ არ მიესალმებიან ამგვარ კონტაქტებს და, შესაბამისად, ქართული მხარე იძულებულია, გვერდი აუაროს საჯაროობას, ვინაიდან ცდილობს, „მაქსიმალურად გაითვალისწინოს“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმ პირთა ინტერესები, რომლებიც პროგრამებში მონაწილეობენ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე



ინდოეთის ზონდი „მანგალიენი“ გვიდა მარსის ორბიტაზე გავიდა, დაამყარა რამდენიმე რეკორდი

ინდური ზონდი გახდა ერთადერთი, რომელმაც შეძლო, გასულიყო მარსის ორბიტაზე პირველივე მცდელობიდან. ამას გარდა, აპარატმა დაამყარა ღირებულების რეკორდი, ინდოეთის ორბიტალური მისია გახადა ყველაზე იაფი კოსმოსური კვლევების ისტორიაში.

* * *

გაეროს უშიშროების საბჭომ ტერორისტების შავ ყუთს დუმატა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებიც

ნონგრატას პერსონათა ჩამონათვალში მოხვდნენ კუვეიტის, საუდის არაბეთის, ერაყის, სენეგალის, სირიისა და ტუნისის მოქალაქეები, აგრეთვე ევროპული წარმომავლობის პიროვნებები. დოკუმენტი 23 სექტემბერს განაახლეს — უშიშროების საბჭოს სხდომის წინა პერიოდში, რომელსაც ამერიკის შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა უხელმძღვანელებს.

* * *

კოალიციამ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ავიადარტყმების ახალი სერია მიაყენა ბოევიკებს სირიასა და ერაყში

კერძოდ, ორი დარტყმა მიაყენა სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

ავიაფრენები ასევე განახორციელეს ქალაქ ალეპოს რაიონში, დაიბომბა „ისლამური სახელმწიფოს“ სამეთაურო პუნქტი ტელ-ელ-აბიადში. სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეუტიეს ბოევიკების პოზიციებს ერაყშიც ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთში.

* * *

ყაზახეთში დაიმსხვრა სამხედრო თვითმფრინავი სუ-27

თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა სასწავლო-საწვრთნელი გაფრენის დროს წინა დღის საღამოს. ღამით ძიების შედეგად, თვითმფრინავის ნამსხვრევები აღმოაჩინეს ალმაათის ოლქის კოქსუსის რაიონის სოფელ ჟანალიტიდან თხუთმეტ კილომეტრში. ორი მფრინავი ვიცე-პოლკოვნიკის რანგში ვერ აღმოაჩინეს, მათი ძებნა გრძელდება. მფრინავებს შეეძლოთ, მოეხდინათ კატაპულტირება.

მათ „შექმნეს“ ამერიკა“

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკამ იმ წიგნების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომლებმაც „შექმნეს ამერიკა“. გთავაზობთ საკუთარი თავი შეამოწმოთ, თუ რამდენად კარგად იცნობთ მოწინავე ამერიკულ ლიტერატურას.

1. ჰარპერ ლი „მოკვდეს ჯაფარა“
2. ჯონ სტეინბეკი „მრისხანების მტევნები“
3. თომას პეინი „საღი მოგონება“
4. მარკ ტვენი „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“
5. დექსთერ სიუზი „ჩაჩიანი კატა“
6. ჰამილტონ მედისონ ჯეი, სტატიების კრებული „ფედერალისტი“
7. რეი ბრედბერი „ფარენგეიტის 451 გრადუსი“
8. ეპტონ სინკლესი „ჯუნგლი“
9. ფრედერიკ დუგლასი „ამბავი ფრედერიკ დუგლასის, ამერიკელის მონის ცხოვრებისა“
10. ჯოზეფ ჰელერი „ფანდი — 22“
11. ბენჯამინ ფრანკლინი „ექსპერიმენტები და დაკვირვებები ელექტრობაზე“
12. ვაშინგტონი ირვინგი „მძინარე ველდაბლობი“
13. ნათანიელ ჰოტორნი „ალისფერი ასო-ნიშანი“
14. ჰერმან მელვილი „მობი დიკი“
15. ჰარიეთ ბიჩერ სთოუ „ბიძია თომას ქოხი“
16. ჰენრი დევიდ ტორო „უოლდენი, ანუ ცხოვრება ტყეში“
17. უოლთ უითმენი „ბალახის ფოთლები“
18. ემილი დიკინსონი „ლექსები“
19. ლაიმენ ფრენკ ბაუმი „ოზის ქვეყნის ჯადოსანი“
20. ჯეკ ლონდონი „წინაპართა ძახილი“
21. ედგარ ბეროუზი „ტარზანი“
22. ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი „დიდი გეთსბი“
23. მარგარეტ მიტჩელი „ქარით წაღებულნი“
24. დეილ კარნეგი „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიქონიოთ გავლენა ადამიანებზე“
25. „ანონიმური ალკოჰოლიკები“
26. ერნსტ ჰემინგუეი „ვის გამო რეკავს ზარი“
27. ტენესი უილიამსი „ტრამვაი „ოცნება“
28. ალფრედ კინსი „ადამიანის სექსუალური მოქცევა“
29. ჯერომ სელინჯერი „თამაში ჭვავის ყანაში“
30. ელვინ ბრუკს უატი „შარლოტას ქსელი“.

წყლის პროცედურების ხიბლი

სიცხეში კანის სისუფთავის შენარჩუნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დაცვით ფუნქციის გარდა იგი ასევე თერმომარეგულირებელ, მიმოცვლით, იმუნურ, სეკრეტორულ, რეცეპტორულ და სასუნთქ ფუნქციებს ასრულებს.

კანის საფარიდან ადამიანი ყოველკვირეულად 300 გრამამდე ცხიმსა და დაახლებით 7 ლიტრ ოფლს გამოყოფს. იმისათვის რომ კანის დაცვითი ფუნქციები არ დაირღვეს, საჭიროა ამ გამონაყოფთა რეგულარულად ჩამორეცხვა. სხვა შემთხვევაში კანზე სხვადასხვა სახის მიკრობების, სოკოებისა და სხვა მავნე მიკროორგანიზმების წარმოშობისთვის ხელსაყრელი პირობები წარმოიქმნება. წყლის პროცედურების მიღება ყოველდღიურად, არაუმეტეს 15 წუთის განმავლობაშია საჭირო. წყლის ტემპერატურა 37-38 გრადუსი, ანუ სხეულისაზე ოდნავ მეტი უნდა იყოს. ტანის დაბანისას უმჯობესია, რბილი სახეხი კვირაში ერთ-ორჯერ გამოიყენოთ, სხვა დროს კი წყალი უბრალოდ გადაივლეთ. ანტიბაქტერიული სარეცხი საშუალებების ჭარბი გამოყენების შედეგად კანი შეიძლება დაზიანდეს და ამით მიკროორგანიზმებისთვის უფრო ადვილად შეღწევადი გახდეს. საპნით ან გელით ტანის დაბანა კვირაში არანაკლებ ერთ-ორჯერაა რეკომენდებული, რის შემდეგ ისინი საგულადაგულოდ უნდა ჩამოირეცხოთ, სხვა შემთხვევაში კანი ზედმეტად გაგიშრებათ.

ბენზინის მაგივრად... წყალბადი

ელექტროენერგიით მკვებავი ძრავებიანი ავტომანქანები ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სულ უფრო მეად პოპულარული ხდება, თუმცა, იაპონური ავტოგიგანტის „ტოიოტას“ ხელმძღვანელობა სანაძლეოს ჩამოდის, რომ უახლოეს ას წელიწადში ხალხი სხვა ტიპის მანქანებით გაცილებით მეტად დაინტერესდება, რომლებიც საწვავიანი ელემენტების მეშვეობით იმოძრავებენ. მათ, კერძოდ, განაცხადეს, რომ ამ ახალი ტიპის სატრანსპორტო საშუალების საბოლოო ვარიანტი გაყიდვაში უახლოეს დროში გამოვა.

ოთხკარიანი სედანის ტიპის ძარიანი მანქანა 7 მილიონი იენი (69 ათასი დოლარი) ეღირება, მაგრამ მისი ყიდვა მხოლოდ იაპონიაში იქნება შესაძლებელი, თანაც მხოლოდ იმ მხარეებში, სადაც წყალბადგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად განვითარებულია(!).



კომპანიაში აცხადებენ, რომ წყალბადის ავზების გამოყენება ენერგიას შეკუმშვის შესაძლებლობას აძლევს, რაც აკუმულატორულ ბატარეებთან შედარებით გაცილებით მაღალ ენერგეტიკულ სიმკვრივეს უზრუნველყოფს. ამასთან, წყალბადის ავზების შენახვა გაცილებით ადვილი შესანხაია. ასეთი ავტომანქანის გადაადგილების მანძილი კი 700 კილომეტრი იქნება, ხოლო მათი გამოყენებისას გარემოზე მავნე ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ერთი კია: ავტომანქანაში 69 ათასი დოლარის გადახდა ყველას ნამდვილად არ შეეძლება.

თუკი მესაზღვრესავით ფხიზლად ყოფნა გსურთ...

საკმაოდ ხშირად ისე ხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ მიზეზით ღამე დაძინება არ გვიწევს, არადა ძილი გვერევა. მედიკოსებს კი ძილთან გამოკვლევების რამდენიმე მეტად მარტივი ხერხი სცოდნიათ.

საღეჭი რეზინი

თუ დაძინება არ გინდათ, მენთოლიანი საღეჭი რეზინი დაღეჭეთ. ამ შემთხვევაში მთავარია არა მენთოლი, არამდე საღეჭი მოძრაობები: თავის ტვინისთვის ეს ერთგვარი „სატყუარაა“, რადგან ამ დროს მას ჰგონია, რომ ორგანიზმმა საჭმლის მონელება უნდა დაიწყოს, რისთვისაც ინსულინს გამოყოფს, რომელიც სიმხნევის შეგრძნებას იწვევს.

პრანაიამა

იოგების პრაქტიკაში არსებობს სასუნთქი ვარჯიში, რომელსაც კაპალაბჰატი ეწოდება: თქვენ ჰაერი ჩვეულებრივად უნდა ჩაისუნთქოთ და მკვეთრად აქცენტირებულად ამოისუნთქოთ. ეს ვარჯიში ათჯერ უნდა გაიმეოროთ: იგი გაგათბობთ და სიმხნევეს შეგმატებთ.

სიგრილე

ფანჯრები გამოაღეთ, ოთახში სუფთა ჰაერი შემოუშვით, ჩართეთ კონდიცინეორი ან ვენტილატორი. თბილი და დახუთული სივრცე, დაღლილობის შეგრძნებას გაგიმძლავრებთ, სიცივე კი თავის ტვინს ძაბავს და ორგანიზმს მდუმივი ტემპერატურის შენარჩუნებას აიძულებს, რომელიც ორგანოების გამართული მუშაობისათვისაა საჭირო. ექსტრიმის მოყვარულთ კი შეუძლიათ ყინულის დაღეჭვა — ეს ძალიან კარგი გამამხნევებელია.

ვარჯიში

20-30-წუთიანი ინტერვალით შესრულებული ნებისმიერი ფიზიკური ვარჯიში უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას გააუმჯობესებს და, შესაბამისად, სხეულს დამატებით ენერგიას შეჰმატებს. უკეთესი ვარიანტია ხანმოკლე გასეირნება. დამტკიცებულია, რომ 15-წუთიანი ფეხით გასეირნება ორი საათის მუშაობის ძალას შეგმატებთ.

პირის ღაბანა

მაჯებზე ცივი წყალი გადაივლეთ, რაც ორგანიზმის სწრაფად გაგრილების საშუალებას მოგცემთ. ამის გაკეთება კარგია ასევე ზაფხულის სიცხეში, თავის ტკივილის მოსახსნელად.

შიმშილი

გამოტოვეთ ჭამის დრო, რადგან მოსანელებლად ორგანიზმი ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავს, ამიტომ კარგი სადილის შემდეგ კაცი დუნდება და ძილი ერევა. ოდნავი შიმშილი კი სიმხნევეს შეგმატებთ.

მუსიკა

მოისმინეთ ჩქარი, გამაღიზიანებელი მუსიკა — იგი თავის ტვინის ბევრ უბანზე ზემოქმედებით ძლიერ ემოციურ გამოძახილს იწვევს. თუ შეგიძლიათ, ხმაც ააყოლეთ, ანდა მსუბუქი მოძრაობებით რიტმში აყევით. ეცადეთ, შეარჩიოთ რაიმე რიტმული, მაგრამ არც მაინცდამაინც სასიამოვნო მელოდია, რადგან ის გაცილებით მძლავრ ემოციებს იწვევს.

განათება

აანთეთ ჭახჭახა სინათლე — როცა მზე ჩასულია, შინაგანი საათის მოტყუება მკვეთრი ხელოვნური განათებით შეიძლება. საქმე ისაა, რომ სხეულის ციკლური რიტმები ყველაზე მეტად განათებულობაზე რეაგირებენ: როცა შუქი ნაკლებია, ორგანიზმი დაძინებას ცდილობს.

მასაჟი

დაიზილეთ თავის თმები, კისრის უკანა მხარე, წერტილი ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის და მუხლების შიდა არე — ეს დაღლილობის მოხსნაში დაგეხმარებთ და სისხლის მიმოქცევას გაგიუმჯობესებთ.

არომათერაპია

სასიამოვნო თუ უსიამო მკვეთრი, ძლიერი სუნი ორგანიზმს უმალ აფხიზლებს. არომთერაპიაში, ჩვეულებრივ, ევკალიპტის, პიტნის ზეთებს ხმარობენ, ანდა შეგიძლიათ, ყავის მარცვლების სუნი რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქოთ.

დისკომფორტი

დაჯექით მაგარ სკამზე — მსუბუქი დისკომფორტის ნებისმიერი შეგრძნება კარგია, როცა გინდათ, რომ ძილი არ მოგერიოთ.

ცილის დიეტა

ეცადეთ, მიირთვათ პროტეინით მდიდარი საკვები (ნიგოზი, კვერცხი), აგრეთვე ბოსტნეული და ხილი. მთავარია, ჭამოთ პატარ-პატარა ულუფებით 2-3 საათში ერთხელ. მოერიდეთ შაქარს, რადგან ის ძალას გართმევთ. დალიეთ ბევრი წყალი, რადგან როცა ორგანიზმი გაუწყლოებულია, ადამიანი თავს მოთენთილად და დაღლილად გრძნობს.

ღიტინი

პირის სასაზე ენით შეიღუტუნეთ — ეს უფრო მეტი სიმხნევის მიღების კიდევ ერთი საგულისხმო და სახალისო ხერხია.

ეს ეშმაკუნა პატარები

ინგლისელი მკვლევრები ირწმუნებიან, რომ 4-7 წლის ბავშვებს... სხვების აზრების წაკითხვა შეუძლიათ.

ფსიქოლოგთა განცხადებით, აზრების გამოცნობის ეფექტი გონების ფარული მართვის დროს წარმოიშვება, რომლის ხერხებს ბავშვები ქვეშეცნობით ფლობენ. ისინი აკვირდებიან და იმახსოვრებენ მშობლების ჟესტებს, მიმიკას, რომლებსაც ისინი მათი გარკვეული მოქცევის გაკიცხვისას ან წახალისებისას გამოხატავენ. ამ „ქვეცნობიერი ღილაკების“ დამახსოვრებით, რომლებითაც ისინი მშობლებში სიხარულს, წყენას, სიბრალულს, ან სხვა გრძნობას „რთავენ“, პატარები იმ ჟესტებსა და მიმიკებს მერე თავადვე ხმარობენ, რომლებმაც როდესღაც მათ მშობლებს სასურველი რეაქცია მიაღებინეს, ვთქვათ, აჭამეს, ხელში აიყვანეს, წყალი დაალევინეს და ა. შ., შემდეგ კი ამას ისევ მათ სამართავად იყენებენ.

ამას ემატება ისიც, რომ პატარებს გამოგონილსა და რეალურად არსებულს შორის მკვეთრი ზღვარი არა აქვთ. ეს კი იმის შეგრძნებას იწვევს, რომ ბავშვები სხვების, ყოველ შემთხვევაში, მშობლების მაინც, აზრებს კითხულობენ.

◎ ფარიკაობა

ერევნიდან - შვიდი მედლით

ერევანში გამართულ მოფარიკავეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 1995 წელსა და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. რაპირასა და დაშნაში მედლებისთვის სომხეთის, ამერიკის, რუსეთისა და საქართველოს (დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით სახვაძე, მსაჯი ზურაბ ლოლუა, მწვრთნელები — ირაკლი ღაღანიძე, მალხაზ მელაძე, ვლადიმერ გოქაძე) წარმომადგენლები იბრძოდნენ. გოგონათა რაპირაში საქართველოს ჩემპიონმა თეონა გოგლიძემ თანაგუნდელი მარიამ ცუხიშვილი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედალი ცუხიშვილს ხვდა. ბრინჯაოს მედლები ირინა კარაევას (რუსეთი) და ალპინე ატოიანს (სომხეთი) ერგოთ. ვაჟებში ყველას ლუკა ღაღანიძემ აჯობა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან მასპინძელი ემილ დანიელიანი დაჯაბნა. მესამე ადგილებზე გიორგი გელაშვილი (საქართველო) და ვაჰე სტეპანიანი (სომხეთი) გავიდნენ.

დაშნით ფარიკაობაში გოგონათა შორის პირველი იყო ქუთაისელი საქართველოს ჩემპიონი მარია ზაკირჩენკო. ოქროსთვის პაექრობაში მან მარია ზაპიხოვსკაიას (რუსეთი) მოუგო. მესამე ადგილებით ანა ბიბიჩაძე (ქუთაისი) და ემა პოღოსოვა (სომხეთი) დაკმაყოფილდნენ. ვაჟებში ქუთაისელი ირაკლი ფანცხავა ნახევარფინალში ვიაჩესლავ ბარეევს (რუსეთი) დანებდა და მესამეზე გავიდა პაუელ ევარტთან (აშშ) ერთად. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბარეევი, რომელმაც ფინალში სომეხ მანუელ ოჰანესიანს სძლია.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: საქართველოს დელეგაცია სომხეთში.

◎ ევრო — 2020

როცა მეზობლებს ენდობიან

2020 წლის რიგით მე-16 ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის ისტორიული გადაწყვეტილების შედეგად უკვე მოინათლა რევოლუციურად სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარების საქმეში.

დიახ, სწორედ იტალიური ფესვების ფრანგის ნოვაციაა, რომ კონტინენტის პირველი პირველობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფორუმი მთელ ძველ სამყაროს მოიცავს და ერთბაშად 13 ქვეყნის სტადიონებზე გაიმართება.

გაუწყებთ იმ ქალაქების ნუსხას, რომელთა კანდიდატურასაც 19 მაძიებლის დავაში უეფას აღმასკომის წევრებმა დაუჭირეს მხარი. ლონდონი (ფინალი, ნახევარფინალები), მიუნხენი, ბაქო, სანკტ-პეტერბურგი, რომი (ჯგუფური ეტაპი და მეოთხედფინალები), კოპენჰაგენი, ბუქარესტი, ამსტერდამი, დუბლინი, ბილბაო, ბუდაპეშტი, ბრიუსელი, გლაზგო (ჯგუფური ეტაპი და მერვედფინალები).

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში გამართული „ევრო — 1960“-ის ტრიუმფატორი საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა, რომლის ღირსებასაც მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი იცავდნენ.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

მხოლოდ სიბაშვილი და კაჭარავა

8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაში, რომელსაც სამხრეთაფრიკული დურბანი მასპინძლობს, ქართველთაგან ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გიორგი სიბაშვილი (16-წლიანებში) და ნიკოლოზ კაჭარავა (10-წლიანებში) მონაწილეობენ. ექვს ტურში სიბაშვილმა სამი შეხვედრა მოიგო, ამდენივე პარტია კი ყაიმით დაამთავრა და 4.5 ქულას მოუყარა თავი. 16-წლიანებში 5.5 ქულით არავინდხ ჩიტამბარამი ერთპიროვნულად ლიდერობს.

ნიკოლოზ კაჭარავამ ექვს შეხვედრაში 4 ქულა მოაგროვა. ბოლო ტურში მან სლოვენიელ ტილენ მალკოჩს აჯობა. აქ 5.5 ქულით ინდოელი მიხალ სარინი მეწინავეობს.

ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე 11 ტური გათამაშდება.

გივი გაგუა

სურათზე: გიორგი სიბაშვილი

◎ კალათბურთი

მარკოიშვილი სერბებთან სამმაგ დუბლზე „გაიწია“

მანუპულაცია — ასე დაასათაურა მოსკოვის ცსკა-ს და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მატჩის მიმოხილვა რუსული გრანდის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა და ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა: საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა სტამბოლში დაწყებული „გლორია ქაფის“ საწყის მატჩში ჩინებულად ითამაშა და სერბების დამარცხებაში (77:72) ლომის წვლილი შეიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ არმიელებს წამყვანი სერბი კალათბურთელი მილოშ თეოდოშიჩი დაუბრუნდათ, მარკოიშვილი მაინც სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 28 წუთი გაატარა, რა დროშიც 19 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

მანუჩარმა 6-დან 2 ორქულიანი და 9-დან 5 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ. შედეგად, ქართველი მცველის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 24-ს უწია, რითაც იგი ორივე გუნდში საუკეთესო იყო.

მოსკოველთა მხრიდან 10-ქულიან ზღვარს ხსენებული თეოდოშიჩი (13), ამერიკელი ჯექსონი (12) და რუსი ფრიძონი (11) ასცდნენ, „ცრვენა ზვეზდას“ კი ამერიკელმა უილიამსმა (15 ქულა, 6 პასი) და სერბმა მარიანოვიჩმა (12 ქულა, 6 მოხსნა) ულიდერეს.

შეგახსენებთ, რომ „გლორია ქაფის“ „ბ“ ჯგუფში ცსკა-ს და „ცრვენა ზვეზდას“ გარდა სტამბოლის „ფენერბაჰჩეც“ თამაშობს, რომლის ღირსებასაც ქართული პასპორტის მქონე რიკი ჰიკმანიც იცავს. ცნობისთვის, თურქულმა გრანდმა ბოლო საკონტროლო მატჩი ხორვატეთში ჩაატარა და ზაგრების “ცედევიტა“ 75:67 დაამარცხა. ამით სტამბოლელები ზადარის ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ, ჰიკმანმა კი გასულ თამაშში 14 ქულა ჩააგდო.

ცსკა-ს და „ფენერბაჰჩეს“ მატჩი დღეს შედგება, გუშინ კი ერთი მატჩი „ა“ ჯგუფშიც ჩატარდა და პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ თურქული „ეფესი“ 79:73 დაამარცხა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

სერენა ჯანმრთელობას უჩივის

ჩინეთის ქალაქ უჰანში ქალებს შორის მიმდინარე ტურნირს პირველივე წრეში მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ორი ნომერი გამოეთიშა. კლასიფიკაციის ლიდერმა სერენა უილიამსმა ჯანმრთელობის პრობლემის გამო უარი განაცხადა ფრანგ ალიზა კორნესთან ასპარეზობის გაგრძელებაზე (ეს პირველი სეტის მიწურულს მოხდა, როცა უილიამს-უმცროსი 6:5-ს იგებდა) და წლეულს მესამედ დამარცხდა კორნესთან.

2014 წლის სეზონის სტარტის წინ სერენა პირად შეხვედრებში კორნეს 3:0-ს უგებდა, მაგრამ ალიზამ ჯერ დუბაის ტურნირის ნახევარფინალში მოუგო უილიამსს (6:4, 6:4), შემდეგ უიმბლდონის მესამე წრეში 1:6, 6:3, 6:4 სძლია, უჰანში მოგების შემდეგ კი ურთიერთდაპირისპირების ბალანსი აღადგინა 3:3.

სეზონის განმავლობაში სერენა უილიამსი ერთი და იმავე ჩოგბურთელთან სამჯერ უკანასკნელად 2007 წელს დამარცხდა. 7 წლის წინათ სერენა ბელგიელმა ჟუსტინ ენინმა დაჯაბნა.

კორნესთან მატჩის მსვლელობისას სერენამ თავი შეუძლოდ იგრძნო. მას არტერიული წნევა და ტემპერატურა გაუზომეს, რის შემდეგაც თამაში განაგრძო, თუმცა, პირველი სეტის დასრულება მაინც ვერ მოახერხა და კორტი ექიმის დახმარებით დატოვა.

უჰანშივე დამარცხდა რეიტინგსიის მეორე ნომერი სიმონა ჰალეპი. რუმინელი ესპანელ გარბინ მუგურუსასთან 6:2, 2:6, 3:6 დამარცხდა.

კობა კობახიძე

სკოლის ბუფეტი საშიშია?

ჯერ კიდევ 2001 წელს მაშინდელი მთავრობის ჯანდაცვის მინისტრმა გამოსცა სპეციალური ბრძანება, საკვები ბლოკების ტექნიკური გამართულობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ამგვარ ობიექტებში აუცილებელია იყოს ცხელი და ცივი წყალი, მაცივარი. იკრძალება ზეთის მრავალჯერადი გამოყენება. საკვები ბლოკის მომსახურე პერსონალს აუცილებელა უნდა ეცვას სპეცტანსამცელი და ა. შ. შევარდნაძის პერიოდში ბრძანებულების შესრულებაზე კონტროლი მეტ-ნაკლებად ხორციელდებოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ეს კონტროლი სულ უფრო სუსტდებოდა და „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პერიოდში, თითქმის ნულის დონემდე დავიდა.

დღეს საქართველოში 2200-მდე საჯარო სკოლაა, დედაქალაქში 218-ია. სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა მათი უმეტესობა შეამოწმეს. გამოვლინდა სავალალო შედეგები. ანტისანიტარიის, კრიტიკული შეუსაბამობის გამო დაიხურა რამდენიმე საჯაროს სასწავლო დაწესებულების (71-ე, 113-ე, 166-ე და ა. შ.) ბუფეტი. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, ბევრ სკოლაში მოუწესრიგებელია სველი წერტილები. კერძოდ, გამართული არ არის ჩასარეცხი საშუალებები.

ამის გამო სერიოზული პრობლემების წინაშე დგებიან უმცროსკლასელები და, განსაკუთრებით, მათი მშობლები. ერთ-ერთი მათგანის მზია პატარიძის განმარტებით, ყოველივეს გამო იძულებული გახდება შვილს სახლში დაუმზადოს და დილიდანვე გაატანოს საუზმე, რაც დაბალკლასელებისათვის არაკომფორტულია. „სწრაფი ობიექტების“ ნაწარმის ყიდვა და ბავშვებისთვის სკოლაში გატანებაც არ არის მთლად უსაფრთხო. გამწარებული მშობელი ამბობს, რომ თუ ასე გაგრელდა, იძულებული გახდება, შვილი კერძო სკოლაში გადაიყვანოს. მართალია, ეს გაცილებით ძვირი დაუჯდება, მაგრამ დაზოგილ ლარებს ვერ გადააყოლებს მოზარდის ჯანმრთელობას, მით უმეტეს, რომ არსებობს სკოლის ბუფეტში ნაყიდი საკვებისაგან მოსწავლის მოწამვლის არაერთი ფაქტი.

საჯარო სკოლების ბუფეტებიდან მომდინარე საფრთხე სერიოზულ სირთულეებს უქმნის შრომით საქმიანობაში ჩართულ მშობლებს, რომელთა ბავშვებსაც სკოლების, ე. წ. გახანგრძლივებულ განყოფილებებში უწევთ საღამოს 6-7 საათამდე ყოფნა. მათ ეშინიათ, რომ ბავშვი საჭმლის საყიდლად სკოლიდან არ გავიდეს. სახლიდან იმდენი რა უნდა გაატანონ, რომ მოზარდს მთელი დღე ეყოს. ამის გამო ისინი აპირებენ ბავშვებს საჯარო დაწესებულებაში ყოფნის ხანგრძლივობა შეუმცირონ, რაც სერიოზულ გავლენას იქონიებს მათ სამსახურებრივ პირობებზე.

მშობელთა უმეტესობის მოსაზრებით, სურსათის უვნებლობის სააგენტოს თანამშრომლებს მსგავსი შემოწმებები სასწავლო წლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე უნდა ჩაეტარებინათ, მაშინ სასწავლო დაწესებულებებისა და მშობლების ერთობლივი ღონისძიებებით იქნებ რაიმე გამოსავლის მოძებნა გამხდარიყო შესაძლებელი.

რა ხდება ამ მხრივ რეგიონებში? — კითხულობენ თბილისელი დედები და პედაგოგები.

ზაზა ბილიხოძე

◎ სადეზინფექციო თაღლითები

დედაქალაქიდან რეგიონებში გადაინაცვლეს

იურისტების თქმით, კერძო კომპანიას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს დეზინფექციის სამუშაოს ჩატარების უფლება, თუ მათ მოსახლეობისგან ან რომელიმე დაწესებულებისგან კონკრეტული დაკვეთა ექნებათ.

სავაჭრო ობიექტებს „სადეზინფექციო სამსახურის“ სახელით ადამიანები აკითხავენ და სადეზინფექციო მომსახურებაში 80-დან 120 ლარამდე ახდევინებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 300-ლარიანი ჯარიმით ემუქრებიან, მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა ბათუმში, ბოლნისში, მარნეულში, ქუთაისში, კასპსა და გორში. 50-მდე დაზარალებული მომხმარებელთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს თანადგომას და თაღლითური სქემის გაშიფვრას სთხოვს.

აღნიშნული პირები აქტიურად მოქმედებდნენ თბილისში და კორპუსის მობინადრეებს შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაში 1 ლარს სთხოვდნენ. მას შემდეგ რაც ამ „აფიორის“ შესახებ სიმართლე გაირკვა, თაღლითებმა კორპუსებში სიარული შეწყვიტეს. უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ რეგიონებში დღეს მოქმედ ახალ თაღლითურ ჯგუფს სწორედ ისინი წარმოადგენდნენ,მათ თბილისიდან რეგიონებში გადაინაცვლეს.

მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია „ეტიკის“ თავმჯდომარის ამირან შენგელიას ინფორმაციით: „ ფულის გადახდის შემთხვევაში, სავაჭრო ობიექტებში 1-ლარიან ხსნარს „კარატეს“ მოასხამენ და მთელი სადეზინფექციო მომსახურება ამით მთავრდება. სინამდვილეში ეს არ არის დეზინფექცია და ხალხი თანხას არაფერში იხდის. მით უმეტეს, როცა არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს, საბუთებზე არ აწერენ ხელს და არც ქვითარი ეძლევათ.“

ი უ რ ი ს ტ ე ბ ი ს თქმით , კერძო კომპანიას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს დეზინფექციის სამუშაოს ჩატარების უფლება, თუ მათ მოსახლეობისგან ან რომელიმე დაწესებულებისგან კონკრეტული დაკვეთა ექნებათ.

„დეზინფექციის სამსახურში“, რომელიც ერთ-ერთი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, აცხადებენ, რომ აცივებასთან ერთად რეგიონებში მღრღნელებისა და მწერების პრობლემა გამძაფრდა და სადეზინფექციო სამუშაოებსაც სწორედ ამ მიმართულებით ატარებენ. თუმცა, ასეთი მომსახურება არ არის სავალდებულო და დამკვეთის სურვილისამებრ ტარდება.

ქობულეთის აგრარულ ბაზარს საწარმოო პროცესი შეუჩერდა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორებმა ქობულეთში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე შპს „ჯუდეს“ აგრარულ ბაზარს საწარმოო პროცესი შეუჩერეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, გეგმური ინსპექტირებისას გამოვლინდა: დეზინფიცირების საშუალებების არქონა, კოროზირებული ხორცსაკეპი მანქანა და ხორცის საკიდი კაუჭები, ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების — ფორმა 32-ის გარეშე, რაც აგრარული ბაზრის ხორცის სექციისთვის საწარმოო პროცესის შეჩერებისა და ბიზნესოპერატორის დაჯარიმების საფუძველი გახდა.

შპს „ჯუდეს“ კუთვნილი აგრარული ბაზრის ხორცის სექცია ფუნქციონირების განახლებას მხოლოდ გენერალური რეცხვა-დეზინფიცირებისა და შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ შეძლებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს ინსპექტორებმა საწარმოო პროცესი შეუჩერეს ნავთლუღის ქუჩაზე მდებარე „ჯანი ჯარიაშნელის“ საშაურმეს, რომელსაც არ ჰქონდა წყალმომარაგება და სადეზინფექციო საშუალებები. ბიზნესოპერატორი მუშაობას განაახლებს მხოლოდ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრის შემდეგ.

ინტერპრესი

შვილები ლიანა, ნანი, ქეთევან რუხაიები, სიძეები თამაზ შევარდნაძე, ფრიდონ ინჯია, შვილიშვილები ვახტანგ, ნინო შევარდნაძეები, ივიკო (ივლიანე), მარიამ შევარდნაძეები, გიორგი, თეა ქობლიანიძეები, ბაადურ, თამარ ქობლიანიძეები, ბაჩი (ილია), ნინო ინჯიები, კახი, ხათუნა კოტრიკაძეები, ბექა, ელენე სურმავები, შვილთაშვილები გიორგი, ელენე, მარიამ, თამაზ, ქრისტინე, ლიკა, ქეთევან, დიმიტრი შევარდნაძეები, მარიამ, ნანუკა, ანნა, გიორგი, გოჩა, ელენე ქობლიანიძეები, ლუკა ალექსანდრე კოტრიკაძეები, ილია ინჯია, შვილთაშვილიშვილი ნინო სურმავა იუწყებიან

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 IX, 17 სთ. გამოსვენება 27 IX, 14 სთ. მისამართი: წყნეთი, ფიროსმანის 1 ჩიხი, №7.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონ ქეთევან რუხაიას დედისა და ბატონ ფრიდონ ინჯიას სიდედრის, ქალბატონ

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

◎ ალიანჩალიანი

„თავისუფალი თაობის“ ორ წევრს ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრა, 5 წევრს კი სიტყვიერი გაფრთხილება მიეცა

„თავისუფალი ზონის“ ოფისთან მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებულ ხუთ პირს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სიტყვიერი გაფრთხილება მიეცა, ხოლო ორ მათგანს ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრა.

დაჯარიმებულებს შორის არის ლადო სადღობელაშვილი, რომელსაც მოსამართლის გადაწყვეტილებით, 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა, ასევე დაჯარიმეს ზურაბ გულორდავა, რომელსაც ჯარიმის თანხა 250 ლარით განესაზღვრა.

პროცესის დასრულების შემდეგ ლადო სადღობელაშვილმა განაცხადა, რომ შეხლა-შემოხლას ადგილი აქციის დროს მართლაც ჰქონდა და ამას ადასტურებს, თუმცა, მოსამართლის მიერ დაკისრებული ჯარიმის თანხა რთული გადასახდელია სტუდენტებისთვის.

მისი შეფასებით, განსაზღვრული ჯარიმა არაადეკვატურია. ზურაბ გულორდავას განცხადებით კი, გამართული აქციის მიზანი „მსხვერპლიანი რეჟიმის“ გამგრძელებლების ლიკვიდაციის მოთხოვნა იყო, რომელსაც „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლები ძალაში ტოვებენ.

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1979 წელს დაბადებული იგორ პ. ბორჯომში დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს „სკაიპით“ გაცნობილმა მეგობარმა საფრანგეთიდან წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება იყო მოთავსებული.

„აღნიშნული წერილი ნარკოტიკული საშუალება „ფენტანილით“ იგორ პ-მ საქართველოს ფოსტის ბორჯომის ფილიალში მიიღო. სამართალდამცველებმა იგორ პ-ს პირადი ჩხრეკისას 0,0165 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ფენტანილი“ ამოიღეს. დაკავებული აღიარებს დანაშაულს“, — აცხადებენ სამინისტროში.

პირუტყვის ქურდობის ბრალდებით ორი კაცი დაიჭირეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბოლნისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა , ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით ორი პირი დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში ბრალდებულებმა ბოლნისის რაიონის სოფელ აკაურთაში ოთხ ოჯახს 17 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 10 ხბო და 7 ძროხა მოპარეს და თეთრწყაროში გაყიდეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ იმრან ა. დანაშაულის ჩადენის დროს პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა.

სამართალდამცველებმა გაყიდულ პირუტყვს მიაკვლიეს და პატრონებს დაუბრუნეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

საბაჟო გამშვები პუნქტის ოფიცერი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, საბაჟო დეპარტამენტთან ერთად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, საბაჟო გამშვები პუნქტის ოფიცერი გიორგი მეფარიშვილი დააკავა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, დადგენილია, რომ ბრალდებულმა, საფოსტო გზავნილში მოთავსებული ბავშვის სხვადასხვა სათამაშოში მოაწყო სპეციალური სამალავი, რის შემდეგაც საბაჟო კონტროლისგან მალულად, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიტანა დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობები. გ. მეფარიშვილი საგამოძიებო სამსახურმა საქართველოს საზღვარზე, ოქროს გადმოტანის ფაქტზე აიყვანა.

◎ ავტობაზარი

„ჯიპების“ ბატონობის დასასრული?

მსუბუქი ავტომანქანების მეზობელ ქვეყნებში რეექსპორტს ეროვნული ეკონომიკის საექსპორტო ნაწილში წლების მანძილზე წამყვანი ადგილი უკავია. ბოლო ხანებში მიზეზთა გამო მანქანების რეექსპორტის შემცირება ახლო პერსპექტივაში საგარეო სავაჭრო ბალანსის მკვეთრ გაუარესებას გვიქადის.

საქართველოს შიდა ბაზარი მსუბუქი ავტომანქანებით ისეა გაჯერებული, რომ წინა წლებთან შედარებით ისინი ჩვენში გაცილებით ნაკლები იყიდება. მსუბუქი ავტომობილებით მოვარჭეებისთვის, რომლებსაც ევროპის ქვეყნებიდან (ძირითადად კი გერმანიიდან, ავსტრიიდან) და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მეორადი მოხმარების მანქანები შემოაქვთ, აქამდე ფართო ასპარეზი მათი როგორც ჩვენს უშუალო მეზობელ ქვეყნებში (აზერბაიჯანსა და სომხეთში), ასევე შუა აზიაში (ძირითადად, ყაზახეთში) რეექსპორტი იყო. არადა ბოლო დროს იქ მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუციური ცვლილებების გამო, საქართველოდან მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტი თითქმის მთლიანი მოცულობის სამ მეოთხედამდე შემცირდა. ამის მიზეზთა შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია სომხეთის რუსეთულ-ბელარუსულ-ყაზახურ საბაჟო კავშირში გაწევრება, რასაც საბაჟო ტარიფების მკვეთრი და მეტად საგრძნობი მომატება მოყვა, აგრეთვე აზერბაიჯანში ახალი ეკოლოგიური სტანდარტის ევრო-4-ის შემოღება, რომელიც მის მოთხოვნათა შეუსაბამოდ გამართულ ავტომანქანებს ქვეყანაში გადაადგილებას უზღუდავს.

ავტომანქანების რეექსპორტის მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ადასტურებს. მიმდინარე წლის განვლილი რვა თვის განმავლობაში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მარტო აზერბაიჯანში გატანილი ავტომანქანების ოდენობა დაახლოებით მესამედით შემცირდა, არადა სწორედ ამ ქვეყანაზე მოდის რეექსპორტის მთლიანი მოცულობის ნახევარზე მეტი.

მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტი, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, ეროვნული ეკონომიკის ის დარგია, რომელშიც არა ერთი ათეული ათასი კაცია ჩაბმული და რომელიც არსებობის საშუალებას აძლევს კიდევ რამდენიმე ათეულ ათას მათ ახლობელს. ამდენად, რეექსპორტის მოცულობის შემცირებას, წმინდა ეკონომიკურის გარდა, უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. არადა, როგორც ჩანს, ახლო მომავალში ამ სფეროში მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გართულდება. საქმე ის არის, რომ მომავალი წლის დამდეგიდან საქართველოში ამოქმედდება ავტოდაზღვევის სავალდებულო წესი, ხოლო მარტიდან — ავტოპარკის ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების პროცედურა. ეს ორი წესიც იმ მიზეზთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გამო მსუბუქ ავტომანქანებზე მოთხოვნამ როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე დაახლოებით 70 პროცენტით იკლო, ხოლო თავად ავტომანქანების ფასი თითქმის განახევრდა.

საქსტატის მონაცემებით, შარშან საქართველოდან რეექსპორტის რეჟიმით დაახლოებით 704 მილიონი დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომანქანა გავიდა. ამ უზარმაზარი ავტოპარკის ლომის წილი, 380 მილიონი დოლარის ღირებულების, აზერბაიჯანში გაიტანეს. წლევანდელი მაჩვენებელი კი შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მოცულობის დაახლოებით მესამედით ჩამოუვარდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ახლო მომავალში საქართველოში ავტომანქანების დილერობის ბიზნესში გვარიანი ცვლილებები მოხდება. მრავალი დილერული კომპანიის წარმომადგენელი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე აცხადებს, რომ არსებული რეალიებისა და მომავალი ცვლილებების გათვალისწინებით, მათ ბიზნესის, ასე ვთქვათ, გარკვეულწილად სახეცვლა მოუწევს. ამ შემთხვევაში აქცენტს მანქანების ძრავების სიმძლავრესა და გამოშვების თარიღზე ამახვილებენ: როგორც ჩანს, უპირატესობა მცირეგაბარიტიან და, ამდენად, ნაკლებად მძლავრი ძრავების მქონე ავტომანქანებს მიენიჭება, ხოლო რაც შეეხება მათი გამოშვების თარიღებს, ევროპული წარმოების პროდუქცია 2005 წელზე ადრე არ უნდა იყოს გამოშვებული, იაპონური წარმოებისა კი ზღვარი სულაც 2010 წელია. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ქართველ ნუვორიშებისა და სხვადასხვა ჯურის მოხელეებს ახლა უფრო მოკრძალებული ავტომანქანებით სიარული მოუწევთ. ლაპარაკი, ცხადია, მასზეა, თორემ ცალკეული „ყოჩები“, დარწმუნებული ვართ, კვლავაც „ლექსუსებით“ და „ჯი იქსის“ კლასის ჯიპებით ინავარდებენ.

ოთარ ტურაგელიძე

◎ ინფორმაცია

300 არაგველის მემორიალთან კრწანისობისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

გუშინ მართლმადიდებელმა ეკლესიამ 300 არაგველის ხსენების დღე აღნიშნა. დღესასწაულთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი, გამგებელი გიორგი კოპალეიშვილი, სასულიერო პირები, მრევლი დაესწრო.

რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის განცხადებით, 300 არაგველის სახელობის სკვერის და მიმდებარე ტერიტორიის განახლება იგეგმება.

კრწანისის რაიონის გამგებლის განცხადებით კი, ღონიძიების ფარგლებში გამგეობის მიერ ტერიტორია და გალავანი დასუფთავდა და კეთილმოეწყო.

„უმნიშვნელოვანესია, რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ იცოდეს, თუ რა ეროვნული და ისტორიული დატვირთვა აქვს ამ ადგილს„, - დასძინა გიორგი კოპალეიშვილმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ 2008 წელს გმირი არაგველები წმინდანებად შერაცხეს, ხოლო 2010 წელს სრულიად საგვარეულო კავშირმა კრწანისობის დღესასწაული დააწესა. წელს, კრწანისის ბრძოლიდან 219 წელი შესრულდა.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

◎ კადრი



ვაჟა ჭყონიას სიცილის კარდიოგრამა ქუთაისიდან

დაბრუნება

ძველმანების ჯიხურში, ანუ ქუთაისურად ძღინკების მაღაზიაში, შემოდის ქალი, რომელსაც ხელში ბავშვის ფეხსაცმელები უჭირვს და გამყიდველს ევედრება:

— ქალბატონო, ეს ფეხსაცმელი თქვენთან შევიძინე, ბავშვს ფეხი არ ჩაუვიდა და როგორმე დაიბრუნეთო.

— სიამოვნებით, — უპასუხა გამყიდველმა, — ორი ქალიშვილი გავათხოვე, ორივე სიძეებმა მეორე დღესვე უკან მომიბრუნეს, მაგრამ ხმა არ ამომიღია და ბავშვის ფეხსაცმელის დაბრუნებაზე თქვენ უარს როგორ შემოგკადრებთო.

თხილი ციყვებისათვის

ტუასთან ვართ და პატარა, წელში კოპწიად გამოყვანილი ჭიქებით ცოლიკაურს შევეთამაშეთ.

იღება კარი, შემოდის მისი ვაჟი, მიესალმება, მერე ბოდიშს მიხდის და მამას მიმართავს:

— მამა, მომეცი რა 50 ლარი?

— რად გინდა, ბიჭო?

— ამხანაგები დავპატიჟე და თხილი მინდა ვიყიდო.

— რაო, კარგად ვერ გაგიგე, ამდენ თხილს რომ ყიდულობ, ამხანაგებს ელოდები თუ ციყვებს?

მე გავილურსე და არაფერი მითქვამს. არადა, ტუასავით გამოცდილ კაცს არ უნდა გაკვირვებოდა, რომ მისი შვილის ტოლები ციყვებივით დახტიან მათთვის სასურველ საკბილოს მოსაძებნად.

* * *

ალალი ქალი

მშობიარეს ტყუპები შეეძინა და ატირდა.

— რა მოგდის, რამ აგატირა? — შეეკითხნენ.

— როგორ თუ რამ ამატირა. რა ვუთხრა ქმარს, მეორე შვილი ვისგან მყავს-მეთქი.

რას იზამ, პატიოსანი ქალის საშველი არასოდეს ყოფილა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24